საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოლშევიკური სიფცვაა, ტყვილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 8 ნოემბერი. 2021 წ. №198 (9317) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ძალა მოიკრიბე, გონიერო ქართველო!

ქვეყნის მაოხრებელი ოპოზიცია, კოვიდ 19-ის მომაკვდინებელი ეპიდემიის მხარდამხარ გაცოფებული ებრძვის ქართულ სახელმწიფოს, კანონიერი გზით არჩეულ ხელისუფლებას და თავგზააბნეულ მხარდამჭერთა იმედით სირცხვილისგან დამჭკნარი ვარდების რევოლუციის გზით ისევ ცდილობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას!

ისევ სააკაშვილის შიმშილობასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ისტერიის თაობაზე ⑨

დეპუტატები ქუჩის ბიჭები და ქუჩის ქალები ხდებიან... ③

სიყალბეა „ნაციონალური მოძრაობის“ სახელი! ③

ბიზნესმენებიც მთავრობას სთხოვენ საწვავის ფასის შემცირებაში ⑥ დახმარებას!

რეგიონში ყველაზე sos ხანდაზმული მოსახლეობა ④ საქართველოშია!!!

„ისეთ საქმეს ⑤ ჩამადენინებთ, შთამომავლები დამწყევლიან“!..

„პატარა კარი“ – 300

უსაფრთხოების სამსახური: უმკაცრესად აგებთ პასუხს!



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა რუსთავსა და თბილისში დაგეგმილ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით საგანგებო განაცხადება გაავრცელა.

„მიმდინარე წლის 6 ნოემბრიდან, ცალკეულ პოლიტიკურ ჯგუფებს ქ. რუსთავის №12 პენიტენციურ დაწესებულებასთან განზრახული აქვს პერმანენტული აქციების ორგანიზება, სადაც დაგეგმილია პარტიის მხარდამჭერების რეგიონებიდან ჩაყვანაც. გარდა ამისა, საპროტესტო აქციები დაგეგმილია თბილისშიც...

ოპერატიული ინფორმაციით, აქციის ორგანიზატორები აპირებენ სახელმწიფო დაწესებულებების, კერძოდ — საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობების ბლოკირებას და პენიტენციურ დაწესებულებებთან მისასვლელი გზების გადაკეტვას, ამ დაწესებულებების ყოველდღიური სამუშაო რეჟიმის ხელშეშლის მიზნით.

სიტუაციის მაქსიმალური ესკალაციისა და სხვადასხვა პროვოკაციული ქმედებების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აქციაში დაგეგმილია ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლების ჩართვა. ასევე, აქციის ორგანიზატორები აქტიურად განიხილავენ ძალოვანი სტრუქტურების ცალკეული თანამშრომლის გადაბირებისა და ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის ლიკვიდაციის შესაძლებლობასაც.

აღნიშნული ქმედებები, რომელთა მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, იგეგმება მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მიერ, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში მის სანახავად შესულ პირთა მეშვეობით, აძლევს დირექტივებს სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონის საფუძველზე და კანონის შესაბამისად, მიიღებს ზომებს დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთისათვის, დამნაშავეები კი კანონის წინაშე უმკაცრესად აგებენ პასუხს“.

გია გაჩეჩილაძე: სისხლიანი რეჟიმის დასრულებიდან 9 წლის შემდეგ, ოპოზიციიდან ძალადობენ ხალხზე!

სისხლიანი რეჟიმის დასრულებიდან 9 წლის შემდეგ, 7 ნოემბრის შემოქმედები იგივე მეთოდებით, ახლა უკვე ოპოზიციიდან ძალადობენ ხალხზე, — ამის შესახებ მომღერალმა და ტელეწამყვანმა, საზოგადოებრივი მოძრაობა „აი ია“-ს დამფუძნებელმა გია გაჩეჩილაძემ (უცნობი) განაცხადა.

„არ აგარევინებთ! 7 ნოემბერს, 17:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის წინ!

2007 წლის 7 ნოემბერი საქართველოს უახლეს ისტორიაში უმძიმესი დღეა. „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა ერთ დღეში — რამდენჯერმე სასტიკად დაარბია და სისხლში ჩაახშო მშვიდობიანი პროტესტი, ძალადობრივად შეიჭრა ტვ იმედში და იერიში მიიტანა თავისუფალ მედიაზე.

ძალოვანი სტრუქტურების სპეცდანიშნულების რაზმებთან ერთად არაფორმალური დაჯგუფებები (ზონდერები) სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს, მოშიმშილე პოლიტიკურ ლიდერებს, არ ინდობდნენ ჟურნალისტებს და არ ერიდებოდნენ არც სახალხო დამცველს. ამ საჩვენებელი სადამსჯელო ოპერაციით სააკაშვილს სურდა ნაცმოძრაობის წინააღმდეგ სახალხო პროტესტის ჩახშობა და მოსახლეობაში შიშის დანერგვა, რათა აღარავის გაებედა სამართლიანობისთვის ქუჩაში გამოსვლა ან განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის გახმოვანება.

სამწუხაროდ, სისხლიანი დარბევები ამით არ დასრულებულა, წლების განმავლობაში მათი ხელისუფლების მთავარი ფუნქცია პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო.

დღეს, 2021 წელს სისხლიანი რეჟიმის დასრულებიდან 9 წლის შემდეგ იგივე ადამიანები (7 ნოემბრის შემოქმედები) იგივე მეთოდებით, ახლა უკვე ოპოზიციიდან ძალადობენ ხალხზე. მათ ამოძრავებს რევანშის დაუოკებელი წყურვილი, დესტაბილიზაციის და ქვეყნის არევის გზით იბრძვიან ძალაუფლების დასაბრუნებლად!

ცხადია, ქართული საზოგადოება ამას არ დაუშვებს, მოსახლეობამ არჩევნებში უკვე გასცა პასუხი მათ ბოროტ მიზნებს, 7 ნოემბერს კი შევიკრიბებით იქ, სადაც დაიწყო მშვიდობიანი მოშიმშილეების დარბევა(პარლამენტის წინ), გავიხსენებთ ამ ტრაგიკულ მოვლენას და კიდევ ერთხელ გავაგონებთ ყველას, რომ ამ ქვეყანაში 7 ნოემბერი აღარასოდეს უნდა განმეორდეს!“, — აცხადებს გია გაჩეჩილაძე.

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ!

როცა დაგეძაბა ურთიერთობა ივანიშვილთან, მერე შეიცვალე პოზიცია?

„ქართული ოცნების“ ყოფილმა მთავარმა სახეებმა უმოკლესი გზა განვლეს „ოცნებიდან“ ოპოზიციაში გადასასვლელად. თუმცა აღმოჩნდა, რომ „ოპოზიცია“ აქ შელამაზებული სიტყვაა და ბევრმა მათგანმა ამ არჩევნებზე სწორედ იმ ნაცებს დაუჭირა მხარი, რომლებსაც ერთ დროს თავგამოდებით ლანძღავდა.

გაოპოზიციონრება პოლიტიკაში მოსულა და ერთი პარტიიდან მეორეში გადახტომაც მომაკვდინებელი ცოდვა არ არის, მაგრამ ოპოზიციაცაა და ოპოზიციაც... როცა ოდესღაც ამბობდი, რომ ნაცების რეჟიმი სისხლიანი იყო, ნაცობის ქომაგად გახდომა რთული არჩევანია.

დღეს არ არის სააკაშვილის რეჟიმი, არ არის ნულოვანი ტოლერანტობა, მაგრამ ფაქტია, „ქართულ ოცნებას“ ბევრი თანამოაზრე მომდურავად გადაექცა. რატომ შეიცვალა ცალკეული ადამიანების პოზიცია, რა დააკლო „ოცნებამ“ იმას, რომ **მარგველაშვილი, ხიდაშელი, მურმან დუმბაძე** და სხვები განსხვავებულ ამპლუაში არ გვეხილა?

პოლიტოლოგ **ნიკა ჩიტაძეს** მიაჩნია, რომ ზემოხსენებულმა ადამიანებმა თავადვე უნდა ახსნან, რატომ იყვნენ წარსულში „ქართული ოცნების“ გულმხურვალე მხარდამჭერები და დღეს რატომ არიან ოპოზიციაში. თუკი „ქართული ოცნება“ ცუდი იყო, მაშინ ექსპრეზიდენტმა მარგველაშვილმა უნდა აღიაროს, რომ ცდებოდა.

„ეს არ ეხება მხოლოდ მარგველაშვილს. მარგველაშვილის მსგავსად, დღეს ბევრი ადამიანი გამოდის და რომის პაპზე უფრო დიდ კათოლიკედ მოაქვს თავი. ამის უკან კი იმალება პირადი განაწყენებაც, არაპროფესიონალიზმიც, ამ შემთხვევაში, მარგველაშვილს არ ვგულისხმობ, მაგრამ რამდენიმე ექსპერტმა განაცხადა, რომ ვერ წარმოედგინა, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში რომ მოვიდოდა, ასეთი პრობლემები შეექმნებოდა საქართველოს. გამოდის, ადამიანნებს აზროვნების პრობლემა აქვთ, არ ყოფილან რეალურად ექსპერტები და პროფესიონალები. არის მეორე ვარიანტიც, რომ შეგნებულად (სარგებლის მიღების მიზნით), ან შეუგნებლად მხარს უჭერდნენ „ქართულ ოცნებას“. საქმე გვაქვს ან გულუბრყვილობასთან, ან არაპროფესიონალიზმთან“.

მისი აზრით, რიგ შემთხვევებში, „ქართული ოცნების“ ყოფილი თავგადაკლული მომხრეების დისტანცირება დღევანდელი „ოცნებიდან“ პირადი წყენით აიხსნება, რადგან, თუ დღეს „ქართული ოცნება“ ცუდია, მაშინ 2012 წელს რატომ იღებდნენ მონაწილეობას „ქართული ოცნების“ სახელით?! ნიკა ჩიტაძე არ მალავს, რომ თავიდანვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის წინააღმდეგი იყო.

„მართალია, ნაციონალებს თავიანთი შეცდომები ჰქონდათ, მაგრამ მაშინ უკეთესი მთავრობა უნდა გამოჩენილიყო, რომ ნაციონალები ჩაენაცვლებინა. დღეს ეს ადამიანები გამოდიან და ვითომ აღშფოთებულები არიან, მაგრამ მათი აღშფოთება იმით შემოიფარგლება, რომ პასუხისმგებლობას არ იღებენ წლების წინანდელ პოზიციაზე. მით უმეტეს, რომ ისინი ხელს უწყობდნენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას. მეც პოლიტოლოგი ვარ და ისიც, ვინც ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ ქება-დიდებას ასხამდა, დღეს კი გამოდის და აღშფოთებულია?! პოლიტოლოგმა პოლიტიკური პროცესები წინასწარ ხომ უნდა განსაზღვროს? პოლიტოლოგიაში წიგნის ავტორი ვარ, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩემი წიგნით ისწავლება და 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეკუთვნის, ზოგიერთები კი ერთ-ორ ინტერვიუს მისცემენ და უკვე პოლიტოლოგებად მოიხსენიებიან. მარგველაშვილი ჩემი პარალელური კლასელი იყო, მაგრამ სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, რადგან მარგველაშვილი ყოფილი პრეზიდენტია, ითვლება, რომ მისი სიტყვა უფრო რეიტინგულია?! მაშინ კითხვა ისმის, როცა დაგეძაბა ურთიერთობა ივანიშვილთან, მერე შეიცვალე პოზიცია? ბევრი მათგანის გულწრფელობის არ მჯერა“...

ნიკა ჩიტაძემ განმარტა, რომ პატივს სცემს იმ ადამიანების მოსაზრებას, ვინც „ქართულ ოცნებას“ გულუბრყვილოდ მხარს უჭერდა, ყოველგვარი დაინტერესების გარეშე. ასევეა ზვიად გამსახურდიას მომხრეების შემთხვევაშიც, ასევე, მისთვის აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციების მქონე სტალინისტების შემთხვევაშიც, რომლებთანაც იგი მეგობრობს. ეს ადამიანები არ თვალთმაქცობენ, ევროკავშირსა და ნატოზე ყალბად არ გვესაუბრებიან. ზოგიერთი ადამიანი კი დღეს რატომღაც აღშფოთებულია პრეზიდენტ ზურაბიშვილის ნათქვამით, საქართველომ საკუთარი ტერიტორია დაბომბა და ომი დაიწყოო, ეს მაშინ, როცა, ნიკა ჩიტაძის თქმით, თავის დროზე იგივე ბიძინა ივანიშვილმაც თქვა.

„მაშინ ივანიშვილს რატომ უჭერდნენ მხარს?! ფულს ელოდებოდნენ?! მინდა, რომ მომავალში ხელისუფლებაში მოვიდნენ მართლაც პატრიოტები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და არა თვალთმაქცები, ევროპელობაზე ფარისევლურად მოსაუბრენი“, — აცხადებს ანალიტიკოსი.

მარიამ ლოლაშვილი

დეპუტატები ქუჩის ბიჭები და ქუჩის ქალები ხდებიან...

მოულოდნელი და უჩვეულო არაფერი მომხდარა.

როგორც ეკლესიასტე იტყოდა, რაც გვასწავლის, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება. არაფერია მზის ქვეშ ახალი.

გაიმარჯვა იმან, ვისაც უნდა გაემარჯვა, ვინც ცხელი ოფლით იღვაწა ამ გამარჯვების მისაღწევად.

გაიმარჯვა ძქართულმა ოცნებამძ. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ უფრო მეტი ამომრჩეველი ჰყავს და, შესაბამისად, ნაცმოძრაობას — ნაკლები.

მიზეზი არსებითია. ნაცმოძრაობა ტრადიციულად ერთობ უნიჭოდ, არაპროფესიულად, ნაჯახურად წარმართავდა წინასაარჩევნო მუშაობას. მისი მთავარი სააგიტაციო „კოზირი“ მოწინააღმდეგის ლანძღვა-გინებაა, რაშიც ტყუილი განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე სიმართლე.

ამ მხრივ მართლაც არ შეიძლება კალაძისა და მელიას გვერდიგვერდ დაყენება. მოქმედი მერი დაუსრულებლად ლაპარაკობდა დედაქალაქის სამომავლო გეგმებზე, ბატონი ნიკანორი კი იმაზე, რომ ოცნებელები, როგორც წესი, ჩათლახები არიან და მათ აუცილებლად გაყრიან.

სერიოზული ადამიანები, რომლებიც წარმატებას გეგმავენ, ასე არ იქცევიან. იმის ამოჩემება, რომ აუცილებლად გაიმარჯვებ, გამარჯვებას ვერ მოიტანს, მხოლოდ თავის გასამხნევებლად თუ გამოდგება და კიდევ იმისთვის, რომ მალემრწმენი მომხრეები დააჯერო არარსებულ გამარჯვებაში.

ნაცმოძრაობამ ერთი თავგანწირული თვისობრივი ნახტომი კი გააკეთა — ოპოზიცია „კოალიციური“ გახადა: დამარცხებაში დაჯერებულმა, მაგრამ გამარჯვების ავადმყოფურად მოწადინე მელიამ თავის მომავალ მოადგილეებად, ანუ თბილისის მერის მოადგილეებად, დანიშნა არჩევნების პირველ ტურში ხელმოცარული ქლაქუნოპოზიციის ერთპროცენტიანი პარტიების ლიდერები: მამუკა ხაზარაძე („ლელო“), ზურაბ ჯაფარიძე („გირჩი“), რადარებიდან საერთოდ გამქრალი ელენე ხოშტარია („დროა“) და „კტოეტოპასტრადავში“ ირაკლი აბესაძე. ამ ილუზორულ აჯაფსანდალს „ოპოზიციური კოალიცია“ თუ „კოალიციური ოპოზიცია“ უწოდა და გაუტია...

ისე რომ, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, რატომ მოინათლა ამ ოთხი ადამიანის „თბილისის მერის მოადგილეებად“ დანიშვნა აქამდე არსებული ორთოდოქსული ოპოზიციის კოალიციურ ოპოზიციად გარდაქმნად...

რაც მთავარია, არჩევნების მეორე ტურამდე ისე მივიდნენ, რომ არც ზნე უცვლიათ და არც ფერი, როგორც ნაპოლეონ ბონაპარტემ 100 დღით მოსვლისას თქვა, ბურბონებს არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დავიწყებიათ.

ტაქტიკა და სტრატეგიაც ძველი, გამოცდილ-უტყუარი ჰქონდათ: ყველაფერში ეჭვის შეტანა, ბუზის სპილოდ ძცევა, ხმაური და დეგოში, დაშინება, მოსყიდვა...

„ტვ პირველის“ ეკრანი 30 ოქტომბერს „მხილებებით“ ზანზარებდა:

ჟურნალისტი ხუხია სენაკში ხალხს დასდევდა ქუჩაში, წელან ჯიბეში რა ჩაიდეო;

გვანცა ჩხიკვაძე ქუთაისიდან უაპელაციოდ გვატყობინებდა, თითქმის ყველა უბანზე შეიმჩნევა ოცნებათა ჯგუფები, რომლებიც სავარაუდოდ ფულს ურიგებენ ამომრჩეველსო;

რუსთავში თამთა დოლენჯაშვილი საარჩევნო უბნიდან გამოაძევეს როგორც დებოშიორი. გარეთ მან უფრო გაშალა ფრთები, პროვოკაციებს აწყობდა. მარტო ის რად ღირდა, ერთ-ერთ დამკვირვებელს რომ ჩააცივდა, შენს ენჯეოს ვინ აფინანსებსო. სხვათა შორის, მიკროფონის ამ ოსტატმა პირველ ტურშიც „გამოიჩინა“ თავი ბათუმში;

„ტვ პირველის“ სტუდიაში კი იარაღასხმული წამყვანები (დ)ინგა გრიგოლია და დ(რ)იანა ტრაპაიძე ადგილებიდან მოწოდებულ ყოველ ნაგავს სათანადოდ მოოქროვილი შეფუთვით აწოდებდნენ მაყურებელს, თანაც ნებისმიერი კომენტატორისგან იმის შეტყობას ცდილობდნენ სულის კაწკაწით, რა იქნება ხვალ, თუ დღეს ოპოზიცია დამარცხდებაო, ანუ რევოლუცია, ამბოხება ხომ აუცილებლად მოხდებაო.

საყოველთაო იყო „ძველი ბიჭების“ თემა. ეს მითიური „ძველი ბიჭები“, „ქურდული ელემენტები“, „შავები“ თურმე ნარიყალასავით გარს ერტყნენ საარჩევნო უბნებს და აშინებდნენ, „საბედისწეროდ ზემოქმედებდნენ ამომრჩევლის ნებაზე“(?!). თუმცა, ვერც ერთი ფაქტი ასეთი ტერორისა ვერ წარმოადგინეს. რესპუბლიკელმა თამარ კორძაიამ გაყალბების უმაღლესი ილეთის მაგალითი მოგვიტანა: ერთ-ერთ უბანზე აღმოჩენილი ამომრჩევლის ორი პირადობის ბარათი ერთიდაიგივე სურათით, მაგრამ სხვადასხვა გვარით. კარუსელის ფაქტი გინდოდათ და აი ფაქტიო, ქურდისთვის საყელოში ჩაფრენილი მაიორივით ცინიკური ღიმილით აფახულებდა გაფითრებულ თვალებს ქალბატონი თამარი.

მაგრამ „ფაქტით განმტკიცებული“ მისი სიმართლე კუდმოჭრილი გამოდგა. მეორე დღეს „იმედის“ ეკრანიდან მაგდა ანიკაშვილმა დადასტურებულად გვაცნობა, რომ იმ მოკარუსელე კაცს თურმე ახლახან გვარი შეუცვლია და ბუნებრივია, ახალი პირადობის მოწმობაც აუღია. რაკი საარჩევნო სიაში იგი ძველი გვარით იყო შეყვანილი, გვარგამოცვლილმა კაცმა ორივე დოკუმენტი წარადგინა საარჩევნო უბანში. „ფხიზელმა“ ნაცმა დამკვირვებელმა არავითარ გონივრულ განმარტებას ყური არ ათხოვა და „კარუსელის დამადასტურებული“ ფაქტი სამყაროს აცნობა.

სწორედ ნაციონალები აწყობდნენ უბნებზე დებოშს, ცემა-ტყეპას. ტელემაყურებლებმა ვიხილეთ, თუ როგორ დაესხა თავს ძარელის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ნაცმოძრაოელი დამკვირვებელი სხვა პარტიის დამკვირვებელს და მუშტები დააყარა.

ასევე ტელევიზიით ვნახეთ, თუ როგორ გააძევეს საარჩევნო უბნიდან საქართველოს პარლამენტის ნაცმოძრაობის დეპუტატი ეკა წითლიძე პროვოკაციისთვის, მერე კი პოლიციამ, ხალხის მოთხოვნით, საერთოდ განარიდა ეს ჩხუბისთავი და უზრდელი ქალბატონი იძაურობას.

ვნახეთ „სახალისო ამბავიც“, თბილისში ვაზისუბნის 62-ე უბანზე რომ მოხდა. ნიკა მელიას, რომელიც იქ აქოშინებული მივარდა იმის გამო, რომ მოკლე ჩართვის შედეგად დენი დროებით ჩაქრა და, ბუნებრივია, მცირე ხნით ხმის მიცემა შეფერხდა და შეეცადა ეს ამბავი ამ უბანზე შედეგების გაუქმებისთვის გამოეყენებინა. და როცა ეს ყველას მიდა კაცი იჭაჭებოდა, ვიღაც ხელმართალმა (სპეციალურად არ ვამბობ, ხელმადლიანმა ან ხელდალოცვილმა-მეთქი, მიზანტროპობა რომ არ დამაბრალონ) თავში ჩააფარა. ეს ჩაფარება ისეთი ძლიერი და ტყლაშუნა იყო, რომ დაზარალებულმა უმწეოდ მიმოიხედა და შემდეგღა აბორგდა მეორე ჩაფარების აღსაკვეთად, მაგრამ რაღა დროს, ჩამფარებელი უკვალოდ გაქრა.

ისე რომ, ნიკა მელიას განცხადება, ჰაერში გამარჯვების სურნელი ტრიალებს, რაც პირველი ტურის დროს არ შეიმჩნეოდაო, უსაფუძვლო იყო და აშკარად მიუთითებდა, რომ იმ დღეს ნაცმოძრაობის ლიდერს სურდო ჰქონდა, ყნოსვის ფუნქცია აშკარად დაქვეითებოდა...

თუმცა, აღმოჩნდა, რომ გამარჯვების სურნელი მართლაც ტრიალებდა, ოღონდ არა ნაცმოძრაობის (ანუ „კოალიციური ოპოზიციის“) გამარჯვებისა. ეს სურნელი „ქართული ოცნების“ გამარჯვების სურნელი იყო.

დღეს დამარცხებული ოპოზიცია იმას კი არ განიხრეკს, თუ რატომ დამარცხდა ასე მასშტაბურად და საყოველთაოდ, არამედ იმაზე იმტვრევს თავს, თუ როგორ წარმოუჩინოს თავის ხალხს დამარცხება გამარჯვებად. ისტორიული მაგალითი აკი აქვთ. 2008 წელს ომში დამარცხება პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამარჯვებად მონათლა და ხალხი საჯაროდ აზეიმა კიდეც რუსთაველის გამზირზე.

არის დამარცხების მიზეზთა ციებცხელებიანი ძიება. ერთი უკვე იპოვეს — გაბათილებული ბიულეტენები. თუმცა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. არ ყოფილა ესეთი ბიულეტენები იმ რაოდენობისა, რომ ნაცმოძრაობისთვის გამარჯვება მოეტანა. პირიქით: ხმების ხელახალი გადათვლებისას ვიხილეთ — ზოგი ბიულეტენი „ოცნების“ სასარგებლოდ გაუბათილებიათ, ოღონდ იმდენივე — ოპოზიციის.

გამოცხადდა საყოველთაო დაუმორჩილებლობა, გაუთავებელი გადაბმული აქციები მთელი ქვეყნის მასშტაბით. პარლამენტის დატოვება ოპოზიციონერ დეპუტატთა მიერ, როგორც ეს მხარდამჭერებს მოუწოდა რუსთავის ციხეში მჯდომმა მოშიმშილე მაოხრებელმა გზირმა მიხეილ სააკაშვილმა. მანდატის დატოვების პირველი მოხალისეები უკვე გამოჩნდნენ (მამუკა ხაზარაძე, ლევან ხაბეიშვილი, ეკა წითლიძე, ნონა მამულაშვილი...), თუმცა „კოალიციურ ოპოზიციაში“ ყველა როდი იზიარებს წინააღმდეგობის ამ სასწაულმოქმედ მეთოდს (ხათუნა სამნიძე, რომან გოცირიძე...), არის მონაცემები, რომ მათი რიცხვი მოიმატებს.

ისე რომ, ოპოზიცია — პარლამენტის ერთი მოტეხილი ფრთა ქუჩაში გადის. ხალხის რჩეული დეპუტატები ქუჩის ბიჭები და ქუჩის ქალები ხდებიან. რას ვიზამთ, ყველა იმ გზას ადგება, რომელსაც ირჩევს, ასეთია ოპოზიციის დიალექტიკა.

ალეკო ასლანიშვილი

რატი ბრეგაძე: რა არის წამება?!

საკაკაშვილს მივეცით ტელევიზორი, მაცივარი, მის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე დღე და ღამე ზრუნავენ, უკვე ჰყავდა 130-მდე ვიზიტორი. ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელმაც ციხეებში წამება და არაადამიანური მოპყრობა დაასრულა, — ასე უპასუხა იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ სახელმწიფო ინსპექტორის განცხადებას.

„როდესაც საუბარია თითქოსდა გაუმართლებელ უარზე, მესამე მუხლზე, წამებაზე, არაადამიანურ მოპყრობაზე, მაშინ განვმარტოთ, რა არის წამება?! — ის, რომ პატიმარს შემოსახლებისთანავე მივეცით ტელევიზორი, მაცივარი?! ის, რომ ამ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნავს ციხის კვალიფიციური პერსონალი და მისი და სხვა პატიმრების უსაფრთხოების დასაცავად დღე და ღამე ათენებენ?! რა იგულისხმება არაადამიანურ მოპყრობაში?! — ის, რომ მას უკვე 130-მდე ვიზიტორი ჰყავდა?! ის, რომ მასთან შეუზღუდავად შედიან უფლებადამცველები, დეპუტატები და სხვა სახელმწიფოს — უკრაინის წარმომადგენლები, რომელთა შეშვების ვალდებულება ჩვენ — თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ არ გვაქვს. შევეცადეთ, რომ მისი უფლებების სრულად რეალიზება მოხდეს და ეს არის წამება?!“, — განაცხადა რატი ბრეგაძემ.

შალვა პაპუაშვილი: სიყალბეა მათი სახელი!

სიყალბე — ალბათ ეს სიტყვა ყველაზე კარგად აღწერს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ნაღებს, — ამის შესახებ Facebook-ზე „ქართული ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანი შალვა პაპუაშვილი წერს.

„ყველაფერი, რასაც მათი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა აკეთებდა და აკეთებს,

რაზეც საუბრობდა და საუბრობს, ყალბი და მოდელირებულია.

ყალბი განვითარება, ყალბი პროდასავლურობა, ყალბი ჰუმანიზმი, ყალბი ლიბერალიზმი, ყალბი პროგრესულობა, ყალბი დემოკრატიულობა, ყალბი სამართლიანობა, ყალბი უფლებადამცველობა, ყალბი პატრიოტიზმი, ყალბი... ყალბი... ყალბი... სიყალბეა მათი სახელი“, — წერს შალვა პაპუაშვილი.



ქართველები ამერიკაში გარბიან!!!

მილიონი „მწვანე ბარათი“ ათ წელიწადში!

ამერიკაში წასასვლელად ერთ-ერთი ლეგალური გზა „მწვანე ბარათის“ მოგებაა. მხოლოდ ბოლო 10 წელიწადში „მწვანე ბარათის“ გათამაშებაში ბედი საქართველოდან თითქმის მილიონმა ადამიანმა სცადა.

„საქართველოში რომ ვყოფილიყავი, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი, ეგ უეჭველად ვიცი“, — ამბობს 46 წლის გიორგი სალუქვაძე.

2016 წელს ცოლთან და სამ შვილთან ერთად მწვანე ბარათი მოიგო. 2 წელიწადში ამერიკაში ჩავიდა და მალევე იშვიათი დიაგნოზი დაუსვეს — რბილი ქსოვილების კიბოს ერთ-ერთი სახეობა. დაზღვევამ ოპერაცია დაუფინანსა, სახელმწიფო კი დაეხმარა, სანამ რეაბილიტაციას გადიოდა.

„ჩემი ერთ-ერთი ოპერაცია დაჯდა 196 ათასი დოლარი. აქედან გადავიხადე 226 დოლარი მხოლოდ. ოპერაციის მერე, ორი თვე, ვერაფერს ვერ ვაკეთებდი, ვერ ვმუშაობდი“ მერე კოვიდი დაემთხვა და დახმარებებიც გაიცა — ყვება გიორგი — ონკოავადმყოფისთვის მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მდგომარეობა, განწყობა. იმდენად სტაბილური ამბავია აქ, რომ საქართველოში რო დავბრუნდე, ეგრე ვერ ვიქნები... ამერიკაში გაცილებით ნაკლები სანერვიულო მაქვს“.

ამერიკაში კი უკეთესია, მაგრამ შვილებისთვის ქართულ წიგნებს მაინც იწერს, რადგან არ უნდა, რომ საქართველოსთან დაკარგონ კავშირი.

გიორგი მზარეულია. საქართველოში ურიგო შემოსავალი არ ჰქონდა, თუმცა ამბობს, მივხვდი რომ ამაზე მეტს ვეღარ ვიშოვიდიო. ამერიკაში კი „თუ შრომობ, თუ არ გეზარება, ბევრ რაღაცას მიაღწევ“.

დღეს ოჯახთან ერთად პენსილვანიის შტატში ცხოვრობს. მისი თქმით, ოჯახთან ერთად იპოვა ის, რაც საქართველოში ასე ძალიან აკლდა — სტაბილურობა, სიმშვიდე და იმედი. ახლა საკუთარი რესტორანს გახსნაზე ოცნებობს.

რა არის „მწვანე ბარათი“?

„მრავალფეროვნების ვიზა“, იგივე „მწვანე ბარათი“, (იგივე „გრინ კარტა“) საბუთია, რომელიც აშშ-ში „მუდმივი რეზიდენტის“ სტატუსს გაძლევთ. ეს კი ლეგალურად ცხოვრების და მუშაობის უფლებას ნიშნავს. ამერიკაში ჩასვლიდან 5 წლისთავზე უკვე შეგეძლებათ მოქალაქეობაზეც შეიტანოთ განაცხადი.

50 ათასი „მწვანე ბარათი“ 1990 წლიდან, ყოველწლიურად თამაშდება. ამ ხსნის განმავლობაში ლატარიაში მონაწილეობა მიიღო თითქმის 23-მა მილიონმა ადამიანმა.

საქართველოში „მწვანე ბარათის“ მოგებულებს 2001 წლიდან აღრიცხავენ. მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებმა თითქმის მილიონი აპლიკაცია შეავსეს. 2011-2021 წლებში მსურველთა რიცხვი თითქმის გასამმაგდა.

20 წელიწადში „მწვანე ბარათი“ 16 ათასზე მეტ მოქალაქეს ერგო.

როგორია მოგების შანსი? დანამდვილებით ვერავინ გეტყვით.

„მწვანე ბარათისთვის“ საბუთების მისაღებად დაახლოებით ერთთვიანი ფანჯარა ოქტომბერ-ნოემბერში იხსნება ხოლმე.

ლატარიაში მოგება ავტომატურად არ ნიშნავს ამერიკაში წასვლას. შემდეგ ეტაპზე უფრო ვრცელი აპლიკაციის შევსება და უამრავი საბუთების მომზადება მოგიწევთ. საელჩოში გასაუბრებამდე 330 დოლარი უნდა გადაიხადოთ. თუ აპლიკაცია ოჯახის წევრებთან ერთად შეავსეთ, მაშინ მათაც უნდა გადაიხადონ. ვიზა რომც არ მოგცენ, ამ თანხას უკან აღარ დაგიბრუნებენ.

თავად ლატარიაში მონაწილეობა უფასოა, მაგრამ ბევრს მაინც ურჩევნია, აპლიკაციის შევსება კომპანიას მიანდოს. ამ მომსახურებას ადამიანებს ტურისტული კომპანიები და სპეციალური სააგენტოები სთავაზობენ. მათი მომსახურება საშუალოდ 20-30 ლარი ღირს.

„3-ჯერ მეტი“

ნიკა გოგოლაძე ერთ-ერთი მათგანია. ამბობს, რომ მის ტურისტულ სააგენტოში ამდენი ადამიანი ჯერ არასდროს მისულა.

„2 თვის და 3 თვის ბავშვებით მოდიან ამ კორონის დროს, იმის გამო, რომ სურათი გადავუღოთ და დავარეგისტრიროთ... წელს რაც ხდება, ესეთი რაღაც არ მომხდარა არც ერთ წელს. ყოველთვის არის ხოლმე ბოლო 2-3 დღე დატვირთვა და ძალიან ბევრი ხალხი, რომ ყველამ მოასწროს... ეს დატვირთვაა უკვე ბოლო 7 დღეა. (დედლაინამდე) 2 კვირით ადრე დაიწყო ის მუხტი, რაც იყო ადრე“, — ამბობს იგი.

მისი თქმით, კლიენტების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ გაეზარდა და ამ დროისთვის 3500-4000 კაცი დაარეგისტრირა. ოღონდ **„1 კაცი რომ იგებს, იგებენ პარალელურად მისი ოჯახის წევრებიც. მაგლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, პერსონალურად უკვე 10 ათასზე მეტი ადამიანი გვაყს დარეგისტრირებული“.**

„რადიო თავისუფლება“ კიდევ სამ სხვადასხვა სააგენტოს დაუკავშირდა. სამივეში გვითხრეს, რომ წელსაც დაახლოებით იმდენივე კლიენტი ყავთ, რამდენიც შარშან, თუმცა როგორც წესი, კლიენტების ურავლესობა აპლიკაციის შესავსებად ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე მიდის. **„ყოველთვის ასე ხდება“,** — ამბობს ერთ-ერთი სააგენტოს მენეჯერი. წელს „მწვანე ბარათზე“ რეგისტრაციის ბოლო თარიღი 9 ნოემბერია. გათამაშების შედეგები მომდევნო წლის მაისში გაირკვევა.

RADIOTAVISUPLEBA.GE

სიკვდილის აღზევება...

რეგიონში ყველაზე ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოშია!!!

რეგიონის სხვა ქვეყნებში მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე საქართველოში. სპეციალისტების განმარტებით, ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობით ჩვენი ქვეყანა ორგზის დაბერებულად ითვლება.

ეს ნიშნავს, რომ 65 წელს გადაცილებული მოქალაქეების რიცხვი 15-20%-ის დონეზეა. სტატისტიკოს სოსო არჩვაძის შეფასებით, 7%-იანი მაჩვენებელიც უკვე ერის დაბერებაზე მიანიშნებს და ჩვენ ამ დონეს საგრძნობლად გავასწარით. მდგომარეობა რომ შეიცვალოს, შობადობა, მინიმუმ, 20 000-ით უნდა გაიზარდოს და მიგრაციის მაჩვენებელი შემცირდეს.

„დემოგრაფიაში დაბერება 2 ტერმინით ფასდება. დაბერება ზემოდან — ეს ის შემთხვევაა, როცა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იზრდება და ხანდაზმული ადამიანების რიცხვი ამის ხარჯზე მატულობს. ქვემოდან დაბერების შემთხვევაში იმდენად ცოტა ბავშვი იბადება, რომ შეიძლება ხანდაზმული მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა უცვლელი იყოს, მაგრამ რადგანაც ბავშვების რაოდენობა მცირდება, ეს ასაკოვანი, ხანდაზმული მოსახლეობის წილის ზრდას იწვევს. საქართველოში ფაქტობრივად ორივე პროცესს აქვს ადგილი. სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტნაკლებად იზრდება პანდემიის პირობებშიც კი, მაგრამ შობადობა არის კატასტროფულად შემცირებული, შარშან, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, გარდაცვალებათა რიცხვმა გადააჭარბა დაბადებულთა რაოდენობას. ასეთ პირობებში პენსიონერთა რაოდენობის ზრდა იმდენად დემოგრაფიული დაბერების ბრალი არ არის, რამდენადაც მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილების შედეგი“, — განმარტავს სოსო არჩვაძე.

როგორც სტატისტიკოსი აღნიშნავს, დაბერების სტადიაში, ანუ საპენსიო ასაკში შედიან ის ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ დემოგრაფიული ბუმის პერიოდში. მაგალითად 1962 წელს საქართველოში 102 ათასი ბავშვი დაიბადა, რაც ამჟამინდელ ბოლო მონაცემს 2-ჯერ და მეტადაც აღემატება. ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, რომ სტრუქტურული ასაკობრივი ცვლილება ხდება.

„საპენსიო ასაკში გადავიდნენ ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ შედარებით უკეთესი დემოგრაფიული სიტუაციის დროს, ანუ 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში. მედიანური ასაკით ჩვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაც გავუთანაბრდით. მოსახლეობის დაბერებამ სერიოზული პრობლემები შექმნა სამუშაო ძალის ოდენობასთან დაკავშირებით. მათ გადაწყვიტეს, შეემუშავებინათ დემოგრაფიული პოლიტიკა. სხვათა შორის, ჩინეთისა და საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი ერთმანეთს ემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა იქ 1,3 მილიარდს შეადგენს. ჩინეთს იმდენად გაუჭირდა დაბერების მაჩვენებლით, რომ 1981 წელს მიღებული დადგენილება „1 ოჯახი 1 შვილი“, გააუქმა და ოჯახებს 2 შვილის ყოლის უფლება მისცა. ის, რომ ჩინეთი ასე შეწუხებულია ამ პრობლემით, წარმოიდგინეთ, რა უნდა ქნას საქართველომ. პრობლემაა ისიც, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან შრომითი მიგრანტების რაოდენობა საკმაოდ მაღალია. მიგრანტების მთლიანი რაოდენობა ორჯერ და მეტადაც კი აღემატება მოსახლეობის წილს საქართველოში. ვინც უნდა შექმნას ოჯახი და გააჩინოს ბავშვი, ისინი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არიან გასული. სამომავლოდ ეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ძალიან უარყოფით როლს ითამაშებს. ქართველებისგან ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ 300 000-ზე მეტი ბავშვი დაიბადა. ცხადია, მათ რაოდენობას ჩვენს სტატისტიკას ვერ მივამატებთ“, — ამბობს სოსო არჩვაძე.

რაც შეეხება მოსახლეობის მედიანურ ასაკს, Worldometers.info-ს მონაცემის მიხედვით, სომხეთში ეს მაჩვენებელი 35 წელია, აზერბაიჯანში — 32, ამდენივეა თურქეთშიც, საქართველოში კი მედიანური ასაკი 38 წელია. ამ თვალსაზრისით, როგორც სოსო არჩვაძე განმარტავს, მათი მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა, ანუ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა მეტი ჰყავთ.

„ამ მღელვარე სამყაროში, სხვა თანაბარ პირობებში მათ უფრო მეტი შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების შესაძლებლობა გააჩნიათ. ამ თვალსაზრისით, მოსახლეობის დაბერებას არა აქვს მხოლოდ დემოგრაფიული დანიშნულება, ეს არის პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ინდიკატორიც“, — აცხადებს სტატისტიკოსი და დასძენს, რომ ვითარება ადვილად არ შეიცვლება, მაგრამ მნიშვნელოვანია ხელისუფლების მცდელობა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდებს, ოჯახებს, მათ დასაქმებას და ყოფა-ცხოვრების პირობების ოდნავ მაინც გაუმჯობესებას.

ცნობისთვის, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 2021 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პენსიონერთა რაოდენობა გაიზარდა. 2021 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით პენსიას 793,920 ადამიანი იღებს, 10 215 ადამიანით მეტი, ვიდრე 2020 წლის 1 სექტემბერს.

რაც შეეხება შობადობას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 46 520 ბავშვი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 3.7 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დადასტურდა უარყოფითი ბუნებრივი მატება, ანუ სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის 4 017 ერთეულით განისაზღვრა. ამასთან, უწყების მონაცემებზე დაყრდნობით, 2020 წელს არარეგისტრირებულ ქორწინებაში 16 877 ბავშვი დაიბადა, რაც ცოცხლად დაბადებულების 36.3 პროცენტს შეადგენს.

მარი ჩიტაია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

„ისეთ საქმეს ჩამადენინებთ, შთამომავლები დამწყევლიან“!..

ვინ მოთვლის საქართველოს ათასწლოვანი ისტორიის ღირსშესანიშნავ, სამახსოვრო, ზოგჯერ სასიხარულო, უფრო ხშირად დასანან მოვლენებსა თუ თარიღებს, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ 1720 წლის გიორგობისთვის 7 რიცხვი მათშიც კი გამორჩეულია: სწორედ ამ დღეს თელავში ქართლ-კახეთის უთვალსაჩინოესი მეფე ერეკლე II დაიბადა, რომელსაც შემდგომ მადლიერმა ერმა მოფერებითა და სიყვარულით „პატარა კახი“ შეარქვა.

ქვეყნის ისტორიაში ნიშანსვეტურ თარიღებს, თუნდაც მოკრძალებულად, საქართველოს საზოგადოება მუდამ აღნიშნავს, მაგრამ შარშან, კოვიდ-19-ის პანდემიის მიზეზით დაწესებულ შეზღუდვათა გამო, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა და გარკვეული დროით გადაიდო. ახლა ეს დღეც დადგა: დიდი ერეკლე მეფის დაბადებიდან 301-ე წლისთავზე, თითქმის ზუსტად დღე-დღეში, 5 ნოემბერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან ერთობლივად, გაიმართა ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

თავყრილობა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ:**

– ბავშვობა თელავში, ერეკლე დიდის სასახლიდან სულ ასიოდე მეტრის მოშორებით გავატარე, რომელიც იმ შორეული დროიდან მოყოლებული დღემდე ქართველთა უდიდეს მეფედ მიმაჩნია, – თქვა აკადემიის პრეზიდენტმა. – 80 წელს მიღწეული კაცი სამშობლოს ხმლით ხელში იცავდა – განა მეტი რაღა უნდა ექნა! დამეთანხმებით, ეს არაა მარტო ჩემი პირადი შეხედულება – ამას ერთიანად ჩვენი ერი იზიარებს, ამდენად, მიმაჩნია, რომ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შეხვედრები არა გარკვეულ მრგვალ თარიღებს უნდა დავამთხვიოთ, არამედ ყოველწლიურად ჩავატაროთ, რათა ხალხმა რაც შეიძლება მეტი გაიგოს ჩვენს ისტორიაში ამ ერთ-ერთი უდიდესი მეფის შესახებ.

მოხსენებით **„სიტყვა მეფეთ მეფე ერეკლე-II-ზე“** დამსწრეთა წინაშე გამოვიდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი.**

– არაერთი ქართველი თუ უცხოელი ისტორგიკოსი შეეხო ერეკლე II-ს და ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა ამ გამორჩეული პიროვნების შესახებ, – თქვა ბატონმა როინმა. – ქართლ-კახეთის სამეფოს გაძღოლის სწორმა პოლიტიკამ იმხანად დიდად გაზარდა როგორც პირადად მისი, ასევე ქვეყნის ავტორიტეტი მთელ რეგიონში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლ-კახეთის სამეფოსა და კავკასიის ჩრდილოეთის ხალხებთან ურთიერთობა, ეს განსაკუთრებით ლეკების თავდასხმებს ეხება, რომელთაც მხარს უჭერდა ოსმალეთი. ლეკთა თარეშს ემატებოდა იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური სისუსტე, ამის გამო მუდმივი ჯარის შექმნის შეუძლებლობა, ირანთან რთული ურთიერთობა. ასეთ პირობებში ავიდა ტახტზე ერეკლე II, რომელსაც, ყველა სიკეთესთან ერთად, რთული ოჯახური ცხოვრება ჰქონდა და სწორედ მისმა მესამე ცოლმა, ზედმეტად პატივმოყვარე და ინტრიგნობისკენ მიდრეკილმა დარეჯან დადიანმა საბოლოოდ ავბედითი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიაში.

მეფე ერეკლე აშკარად ცდილობდა ქართველთა ევროპულად გარდაქმნას, ქვეყნის სამხედრო-ტექნიკურ და სამეურნეო დაწინაურება, მაგრამ, სამწუხაროდ, გვირგვინოსნის დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაახლოების ყველა ცდა წარუმატებლობით დასრულდა. არადა, სწორედ იმ ხანებში საქართველოს მიმართ ურთიერთობა გააქტიურა რუსეთმა, რომლის აგენტურის წარმომადგენლები მეფე ერეკლე II-ის დაახლოებულ პირებს მათი მბრძანებლისთვის, ეკატერინე II-ისთვის მფარველობის თხოვნით მიმართვას ურჩევდნენ, თანაც აიმედებდნენ, რომ ამ გზით საქართველო კეთილდღეობას მიაღწევდა.1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილოეთ კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში რუსეთ-საქართველოს შორის „მეგობრობითი პირობა“, (ანუ „ტრაქტატი“) გაფორმდა, თუმცა, კი გონიერმა მეფემ მშვენივრად უწყოდა ამ ნაბიჯის შესაძლო მძიმე შედეგები, მაგრამ სხვა გამოსავალი პატარა კახს არ ჰქონდა – ერი ფიზიკური მოსპობის საფრთხის წინაშე იდგა. სამწუხაროდ, დიდი გეგმები, რაც ქართლ-კახეთსა და მის მეფეს ტრაქტატთან დაკავშირებით გაჩნდა, არ გამართლდა.

ამასობაში, ირანში ტახტზე ავიდა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი, რომელსაც კახეთში ირანის ბატონობის აღდგენა სურდა და ერეკლეს ულტიმატუმი გაუგზავნა, რომელშიც რუსეთთან მეგობრობის გზის მიტოვებას მოითხოვდა, რასაც ერეკლე II არ დათანხმდა. შედეგად1776 წლის 7 სექტემბრს კრწანისის ტრაგიკული ბრძოლა გაიმართა, რომელშიც ქართველები დამარცხდნენ, აღა-მაჰმად-ხანმა კი თბილისი ააოხრა...

დიდი მეფე ერეკლე II, პატარა კახი, 1798 წელს თელავში, იმავე პალატასა და საწოლში გარდაიცვალა, რომელშიც დაიბადა. გასაოცარია, მაგრამ ამ დროსაც საქართველოში „ჟამიანობა“ იყო – შავი ჭირი მძვინვარებდა, თუმცა კი მეფის ცხედარი მაინც მცხეთაში ჩამოასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

ერეკლე მეორემ შექმნა დიდი ეპოქა: თამარის შემდეგ არც ერთ მეფეს არ მიუღია ხალხის ისეთი სიყვარული, აღტაცებული ქებათა ქება, როგორიც ერეკლე II-ს.

* * *

„ერეკლე II ბაგრატიონი – საქართველოს დიდი მამულიშვილი და სახელმწიფო მოღვაწე“ – ასე იყო დასათაურებული კონფერენციაზე წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პახტანგ ბურულის მოხსენება.

სწავლული ისტორიკოსის გამოსვლაში, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა დიდი მეფის გარჯა საქართველოს მოსახლეობის ჯერ ფიზიკური გადარჩენისთვის, მერე საერთაშორისო სარბიელზე დამკვიდრებისთვის, თანაც ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, მხოლოდ საკუთარი ბუნებრივი ნიჭის, გონიერების და გამჭრიახობის წყალობით, დამსწრეთა ყურადღება განსაკუთრებით შეაჩერა ისეთ მეტად მგრძნობიარე საკითხზე, როგორიცაა ქვეყნის რუსეთთან ურთიერთობა და საბედისწერო „გეორგიევსკის ტრაქტატი“.

– უკვე დიდი ხანია, რაც მავანნი მეფე ერეკლე II-ს ბრალს უყენებენ რუსეთისთვის დახმარების თხოვნით მიმართვისა და, როგორც შეგვიძლია, „მეგობრობითი პირობის“ („გეორგიევკის ტრაქტატის“) დადებაში, რაშიც მეფეს არანაირი ბრალი არ მიუძღვის, – თქვა ბატონმა ვახტანგმა – ბევრი მკვლევარი საერთოდ არ ითვალისწინებს იმას, თუ რა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ და სამხედრო-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ჩაიბარა ერეკლე II-მ ჯერ კახეთის შემდეგ კი ქართლის სამეფოები. ამის უმთავრესი მიზეზი, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ესაა **სახელმწიფო მიუჯეტის არქონა,** რის გარეშე ქვეყნის არანაირ აღმშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ეს კი იმიტომ იყო ასე, რომ გადასახადების გადამხდელი მოსახლეობა, – გლეხობა, ფიზიკურად არ არსებობდა. ამ დროს კი გადასახადებს არ იხდიდა თავად-აზნაურობა, სამღვდელოება. **მეორე: მოშლილი იყო სამეფო ხელიუფლება:** განა რა მტკიცება უნდა იმას, რომ ქვეყნის წარმატებულად მართვას სჭირდება ყველა დონის საქმის მცოდნე, სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი მრავალი მოხელე, რომლებიც, იმდროინდელ საქართველოში, ფაქტობრივად, არ გვყავდა, მათ სათანადოდ გაწვრთნას კი ათწლეულები სჭირდება...

მესამე: არ გვყავდა ჯარი და არ გვქონდა შეიარაღება. ამ უდიდესი ხარვეზის გამოსწორება ერეკლე II-მ შეძლო მხოლოდ ნაწილობრივ. ამის მიზეზი კი, ისევ და ისევ უსახსრობა იყო.

მეოთხე. საერთაშორისო ასპარეზზე თუნდაც მცირედი წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო მომზადებული დიპლომატიური კორპუსის ყოლა, რომლის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გამართული საგარეო დაზვერვა უნდა ყოფილიყო, რომელიც საქართველოს ასევე არ ჰყავდა. ამის თვალსაჩინოდ დასანახად თუნდაც იმ ფაქტის გახსენება კმარა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატზე ორი ხელმომწერი მეფე ერეკლეს წარმომადგენლიდან არც ერთს არათუ არანაირი დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონდა, არამედ... ერთ-ერთმა – გარსევან ჭავჭავაძემ – რუსული ენაც ცუდად იცოდა, ხოლო მეორე, იოანე ბატონიშვილი, საერთოდ ენაბლუ იყო და ქართულადაც ვერ მეტყველებდა ხეირიანად. ერთადერთი მცოდნე კაცი არქიმანდრატი გაიოზი იყო, მაგრამ ის საერთოდ არ ჩანდა. არადა, სწორედ ამ ხალხს უხდებოდა ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ვენაში, კიდევ სხვაგან ნამუშევარ და პოლიტიკურ გაიძვერობაში გამობრძმედილ რუს დიპლომატებთან ფარული ომი.

ამდენად, ერეკლე მეორეს მოღვაწეობა საერთაშორისო არენაზე არსებული მდგომარეობის შესახებ ნულოვანი ინფორმაციის ქონის პირობებში უწევდა და თუ რაიმე სასიკეთოს მიღწევა შეძლო, ისევ თავისი ბუნებრივი ნიჭისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით.

არადა, მავანნი ერეკლე II-ს ბრალს უყენებენ, თითქოსდა იგი „რუსეთის კაცი“ იყო, რაც სრული სიცრუეა და ისტორიულ სინამდვილესთან არანაირი კავშირი არა აქვს – მეფის პრორუსული ორიენტაცია მხოლოდ იძულებითი იყო, რაც ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობით იყო განპირობებული. ერეკლემ ცუდი ამჯობინა...

დამსწრენი დალოცა და სიტყვით მიმართა მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტმა **ანანიამ (პაფარიძემ),** რომელმაც აღნიშნა, რომ ერეკლეს დროს საქართველოს ზნეობრივ გაერთიანებაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა მართლმადიდებელმა ღვთისმსახურებმა. მეუფე ანანიამ დამსწრეთ ამცნო, რომ უახლოეს დღეებში სამების საკათედრო ტაძრის ეზოში საზეიმოდ გაიხსნება ერეკლე II-ის ბიუსტი.

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავის აღსანიშნავ, მისი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს სამეფო სახლის ბაგრატიონების მეთაური, მისი უმაღლესობა **ნუგზარ ბაგრატიონ-ბრუზინსკი,** რომელმაც ერეკლე II-ის სამეფო ორდენებით დააჯილდოვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე** და მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი **მეუფე ანანია.**

ოთარ ტურაბელიძე

ბიზნესმენებიც მთავრობას

სთხოვენ საწვავის ფასის შემცირებაში დახმარებას!

ნავთობპროდუქტების მსოფლიო ტენდენცია ჯერჯერობით შეუქცევადია და მინიმუმ, წლის ბოლომდე არაფერი გამოსწორდება. სავარაუდოდ, არც მერე, რადგან ევროპაში მწვავე ენერგეტიკული კრიზისია, რაც ენერგომატარებლებზე ფასებს ზრდის. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, საქართველოშიც მოხდება საგარეო ფაქტორების ასახვა და საწვავის გაძვირება. ამიტომ ბიზნესი გამოსავლის პოვნას ეშურება.

მსოფლიოში ფასები მუდმივად მზარდია. გუშინდელი მონაცემებით, საერთაშორის ბაზარზე ერთი ტონა ბენზინი 810.25 დოლარი ღირდა, ხოლო დიზელი – 716.25 დოლარი. ნავთობპროდუქტების ღირებულება რეკორდს ხსნის საქართველოშიც. ბენზინგასამართ სადგურებში საწვავის ღირებულება კარგა ხანია 3 ლარს გასცდა, ამიტომ სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ საკითხზე მუშაობა აუცილებელია.

ნავთობიმპორტიორები საწვავზე ფასის შემცირების ერთადერთ ბერკეტს აქციზის გადასახადის შემცირებაში ხედავენ, რომელიც მთავრობის 2017 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, გაორმაგდა (ბენზინზე აქციზი 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა; დიზელზე – 150-დან 400 ლარამდე).

„სენტა პეტროლიუმ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი **ზაალ იაკობიძე** მიიჩნევს, რომ ნავთობპროდუქტების გაიაფების ერთადერთი ბერკეტი აქციზის გადასახადის შემცირებაა.

„დღეს ნავთობპროდუქტებზე ფასმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. შემცირების ერთადერთი ბერკეტი აქციზის კლებაა. 2017 წელს ბენზინზე აქციზი გაორმაგდა. კიდევ უფრო მასშტაბური იყო ფასის ზრდა დიზელზეც 150-დან 400 ლარამდე. ახლა მართლა ისეთ ნიშნულზეა ფასი, რომ თუ არსებობს რამე გზა, უნდა მოხდეს აქციზის შემცირება. ეს უნდა გაკეთდეს, რაც დაახლოებით 25 თეთრით გააიაფებს საწვავს.

ამგვარ ნაბიჯს ექნება მყისიერი ეფექტი, თუმცა რამდენადაც აქციზი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, ეს არის ძირითადი მიზეზი რატომაც არ მცირდება განაკვეთი. ახალს არაფერს ვამბობ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მეტად აუცილებელია“, – განაცხადა ზაალ იაკობიძემ.

აქციზის გადასახადის შემცირებაში ხედავს გამოსავალს „ვისოლ პეტროლიუმის“ გენერალური დირექტორი **ვასილ ხორავაც**.

„თუ თვენახევრიან პერიოდს ავიღებთ, ჩვენ გვაქვს სტაბილური ლარი, მაგრამ არის საშინელი არასტაბილურობა საერთაშორისო ბაზარზე. ფასი ერთ ტონაზე 100 დოლარით გაიზარდა. ლიტრებში გადაყვანილი ეს არის 25-30 თეთრამდე ცვლილება, ანუ მხოლოდ ამ კომპონენტის გამო 25-თეთრიანი ცვლილება უნდა განხორციელდეს ბაზარზე. ჩვენი კომპანიის მაგალითზე რომ გითხრათ, ოქტომბრის მეორე ნახევარში მხოლოდ მცირედი ცვლილება გავაკეთეთ, 10 თეთრის ფარგლებში.

აქციზის საშუალებით შესაძლებელია ფასზე ზემოქმედება. არის მოდელი, როცა მზარდი ნავთობპროდუქტების ფასის პირობებში აქციზი მცირდება და აქციზი იზრდება მაშინ, როცა იაფდება ნავთობპროდუქტები. ეს არის მთავრობის გადასაწყვეტი. ამაზე კონსულტაციები არ მიმდინარეობს, ცალმხრივად ბიზნესი ვერ მიიღებს მსგავს გადაწყვეტილებას“, – განაცხადა ვასილ ხორავამ.

ნავთობიმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის გაძვირების მიზეზებს განმარტავს და ეკონომიკის აღდგენის პარალელურად ნავთობზე გაზრდილი მოთხოვნის მიზეზად, დღეს უკვე ევროპაში ბუნებრივი აირის გაძვირების ფაქტორსაც ასახელებს.

„ეკონომიკის აღდგენის პროცესი იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ ყველა მიმართულება გახსნილია და ტურიზმის და საჰაერო მიმოსვლა გააქტიურებულია, რის ხარჯზეც ნავთობზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის პარალელურად „ოპეკი პლუსი“ ნავთობის მოპოვების კვოტებს არ ზრდის.

ყველაფერს დაემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ევროპაში ენერგეტიკული კრიზისი, რაც ბუნებრივი აირის გაძვირებას უკავშირდება. შესაბამისად, ის მომხმარებელი, ვინც ბოლო პერიოდში ბუნებრივი აირის ტრადიციული მომხმარებელი იყო, მაზუთის და დიზელის საწვავის მოხმარებაზე გადადის, რაც ნავთობზე მოთხოვნას კიდევ უფრო ზრდის.

ფაქტია, რომ საწვავი ძვირდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც, მით უფრო იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპორტდამოკიდებულია და საქართველო კი ასეთი ქვეყანაა“, – აღნიშნა მთვრალაშვილმა. მას პროგნოზების გაკეთება უჭირს, რადგან პირველ რიგში, მსოფლიოში ნავთობის ფასის ცვლილება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც საბოლოოდ, ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასის ძირითადი განმსაზღვრელია.

ბექა დანელია

სუპერმარკეტებში ხილ-ბოსტნეულის უმეტესობა უხარისხოა!

აგრარული სფეროს სპეციალისტების ინფორმაციით, სუპერმარკეტებში წარმოდგენილი ხილ-ბოსტნეულის უმეტესობა სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ამის მიზეზად ტექნოლოგიური ჩამორჩენა მიიჩნევა. თუმცა პრობლემაა იმპორტულ პროდუქტთან დაკავშირებითაც. ვისაც ბოლო ხანს თუნდაც ერთხელ მაინც შეუძენია ქსელურ მარკეტებში აგრარული პროდუქტი, აუცილებლად დაადასტურებს, რომ ხარისხის დაბალი დონე ვიზუალურადაც შესამჩნევია.

გარდა იმისა, რომ რაოდენობრივად საქართველოში საკმაოდ მცირე პროდუქტი იწარმოება, მისი ჩანაცვლება შემდეგში ხდება უხარისხო იმპორტული ნაწარმით.

გლობალურ პრობლემაზე საუბრობს აგრარული სფეროს სპეციალისტი, მეცნიერი კობა კობალაძე. მისი განცხადებით, პროდუქტის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს, რადგან უხარისხო საკვები იგივე საწამლავია, რასაც ადამიანისთვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

„საქართველოში აგროწარმოება ძალიან დაბალ დონეზეა. შეიძლება ითქვას, ჩვენ თითქმის არ ვაწარმოებთ პროდუქტს, გავხედოთ, დახლებზე ძირითადად უცხოური სურსათი იყიდება. აშშ-მა მიიღო ერთ-ერთი ასეთი გაფრთხილება „დადგენილება 200“, სადაც შესაძლებლობად აღიარეს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის განადგურება, კონკრეტულად, მოსახლეობის მატების შემცირება და სხვა, შესაძლებელია ჰუმანიტარული წესით და იაფი სასურსათო პროდუქციის შეტანის გზით. თვითონ მიიღეს მთელი ზომები, რომ ქვეყნის შიგნით ფაქტობრივად არ შესულიყო მსგავსი პროდუქცია. სურსათი განიხილება როგორც წამალი, მაგრამ ამავე დროს, არის საწამლავიც, რომელიღაც ქვეყნის და ერის წინააღმდეგ რომ იყენებენ. ამიტომ სურსათის უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა ვიცოდეთ, რა იყიდება დახლებზე და რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით, რეპროდუქციულ უნარზე. აქცენტი აქეთკენ არის აღებული, რადგან მოსახლეობის რაოდენობამ ბევრგან მოიმატა. ადამიანის გამრავლების უნარის რეგულირება სწორედ ამ მეთოდით არის შესაძლებელი, თუკი აშშ თავის მოსახლეობას უფრთხილდება, ჩვენც ამ მიმართულებით სერიოზული ღონისძიებები უნდა გავატაროთ“, – აცხადებს კობა კობალაძე.

მეცნიერი ვარაუდობს, რომ ქვეყანაში დიდი რაოდენობით უხარისხო პროდუქტი შემოდის, მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ბევრი ნადგურდება, არცთუ ცოტა ხვდება დახლებზეც, რაც სამწუხარო რეალობაა.

აღნიშნულს მოწმობს EastFruit -ის კვლევა, რომელიც 2021 წლის მარტში გამოქვეყნდა. ორგანიზაციამ პოსტსაბჭოთა რამდენიმე ქალაქში, ქსელურ სუპერმარკეტებში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის საკითხები შეისწავლა და რამდენიმე კრიტერიუმი გამოყო: პროდუქციის ასორტიმენტი, ხარისხი, მომსახურება, პერსონალის კომპეტენტურობა, ფასები, უვარგისი პროდუქციის წილი და ა.შ.

აღმოჩნდა, რომ თბილისის სუპერმარკეტებში ხილ-ბოსტნეულის ხარისხი საკმაოდ დაბალია. მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ ქართველი ფერმერები და გლეხები პროდუქციის შენახვის ტექნოლოგიებს ჯერ კიდევ არ ფლობენ. გარდა ამისა, სუპერმარკეტების ნაწილი ნაკლებად ხარისხიან პროდუქციას შეგნებულად იბარებენ შედარებით დაბალი ფასის გამო.

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში თითქმის არავინ მუშაობს ოპტიმუმის ფორმატში, ანუ, მისაღები ხარისხი და დაბალი ფასები, რომელიც მომხმარებელთა მოზიდვის საუკეთესო საშუალებაა. ასე რომ, ქართულ ბაზარზე ეს ნიშა ჯერ კიდევ აუთვისებელია.

მარი ჩიტიშვილი

როგორ დავზოგოთ საწვავის ხარჯი?..

ბოლო 10 დღის განმავლობაში საწვავის ფასი 10 თეთრით გაძვირდა, თუმცა ექსპერტები კიდევ უფრო რთულ ზამთარს პროგნოზირებენ, ვარაუდობენ რა, რომ საფასურმა შესაძლოა, კიდევ 30 თეთრით მოიმატოს, შედეგად, ბენზინის ფასი 3.60 ლარი გახდება. ფაქტორად კვლავ საერთაშორისო ბირჟები სახელდება. მსგავს ვითარებაში კიდევ უფრო აქტუალური ხდება საწვავის ხარჯის დაზოგვის თემა. ამ შემთხვევაში მთავარი რეკომენდაცია, იმავდროულად, სასარგებლო ჯანმრთელობისთვის, არის ავტომობილით მაქსიმალურად იშვიათად გადაადგილება და მეტი ქვეითად ან ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით მგზავრობა.

მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება ავტომანქანის მდგომარეობა: წელიწადში ერთხელ ავტომანქანის ტექნიკური ინსპექტირება სავალდებულოა, თუმცა ექსპერტები გვირჩევენ, რომ მცირედი ხარვეზის შემჩნევის შემთხვევაშიც მივმართოთ სპეციალისტს, რადგან ეს უკვე არა მხოლოდ ხარჯთან, უსაფრთხოებასთანაც არის კავშირში. რაც შეეხება ხარჯს, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, თუ ავტომანქანა ტექნიკურად მომზადებულია, ეს დაახლოებით 10%–იან ეკონომიას მოგვცემს.

ტექნიკური მომზადებისას მნიშვნელოვნად სახელდება რამდენიმე დეტალი:

- **აალების სანთლები, ჰაერის ფილტრი უნდა შევამოწმოთ და წელიწადში ერთხელ გამოვცვალოთ;**
- **სპეციალისტები ასევე მნიშვნელოვან გარეგარეობად ასახელებენ საბურავში წნევის დონეს: თუ იმაზე დაბალია, ვიდრე ეს მწარმოებელს აქვს მითითებული, ეს უფრო დიდ წინაღობას ქმნის და ვიღებთ საწვავის რადიკალურად მეტ ხარჯს, ვიდრე ავტომობილი მოიხმარს. რჩევაა, რომ მწარმოებლის მითითებულზე ოდნავ მეტად დავბეროთ საბურავები;**
- **ასევე მნიშვნელოვანია თვლების შეყრა. თუ მაგალითად, საბურავები „იყურება“ ერთმანეთის მიმართულებით ან გაშლილად, ესეც წინააღმდეგობაა: ერთი საბურავი მოძრაობს მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ, თქვენ კი პირდაპირ ცდილობთ გადაადგილებას, შესაბამისად, წარმოიშობა წინააღმდეგობა და იზრდება საწვავის ხარჯი.**

გარდა ამისა, სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ავტომანქანა ზედმეტი ტვირთისგან გავათავისუფლოთ, რადგან შემსუბუქებული ავტომობილი ბევრად უფრო ეკონომიურია (4%-ით ზოგავს საწვავს.). ცხადია, არ იგულისხმება სათადარიგო საბურავი.

უხეში მართვა: თუ მყისიერად ვრთავთ ავტომობილს, აგრესიულად ვამუხრუჭებთ შუქნიშანთან და შემდეგ განვაგრძობთ იმავეს, ეს იწვევს საწვავის დამატებით ხარჯვას. რეკომენდაციაა „რბილად“ მართვა, მათ შორის, ძრავის ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 2 000-ს და სპეციალისტები გვპირდებიან, რომ მსგავს შემთხვევაში საწვავის ხარჯის 14-20%-ს დავზოგავთ.

გავრცელებული ჩვევები:

- **გარდა ამისა, თუ საცობში დგომის პერიოდი წუთზე ნაკლებია, არაა რეკომენდებული ავტომობილის ჩაქრობა, რადგან გაიზრდება საწვავის მოხმარება.**
- **ამასთან, რეკომენდაცია ზამთარში ავტომობილის „გახურებაზე“ არის 1 წუთი და არა უფრო ხანგრძლივი დრო.**

კონდიციონერი სპეციალური აგრეგატია, რომელსაც სჭირდება დამატებითი ცხენის ძალა, რაც ცხადია, ზრდის საწვავის მოხმარებას და მოკლე მანძილზე უმჯობესია, არ იქნას გამოყენებული.

„ლიტერატურული საქართველო“ – 90

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა. როგორც 5 ნოემბრის სარედაქციო მეთაურ წერილშია აღნიშნული, ცხრა ათეული წელი ცოტა არ არის იმისათვის, რომ ვისაუბროთ კულტურულ ტრადიციაზე, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ერთიან ხაზზე, დროთა, თაობათა და იდეათა კავშირზე, ერთი სიტყვით, ისტორიაზე, რომელიც არის, იყო და კვლავაც გაგრძელდება.

ეს ისტორია არის ისეთი, როგორიც იყო საქართველოში, ქართველი კაცის, ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ცხოვრება, პრაქტიკა, არსებობა, ფიქრი. იყო წარმატებებიც, იყო ჩავარდნებიც, იყო აღმაფრენაც და იყო დაცემაც იმიტომ, რომ იყო ცხოვრება, არსებობა, ყოფიერება, ყოველდღიურობა. ვერავინ იტყვის, ცხოვრების მძიმე გზები გამოვიარე და მწვირეც არ მომცხებიაო. თუმცა დღეს მხოლოდ ისტორიას ვიხსენებთ, გამოვლილ დროს, შორეულსა და მახლობელს.

როგორც არტურ შოპენჰაუერი იტყოდა, გაზეთი არის დროის ისარი, საათის ისარი, და „ლიტერატურული საქართველოც“ აღნიშნავდა და აღნიშნავს დროს, ცდილობს, გვიჩვენოს, რა დროში ვცხოვრობთ და გამოხატოს თავისი დროის, ეპოქის, სივრცის ხასიათი და სულისკვეთება – უპრეტენზიოდ, დაკვირვებით, საქმიანად.

სხვა ქართული სალიტერატურო პრესისგან სწორედ ეს განასხვავებს ამ 90 წლის, მაგრამ კვლავ და კვლავ ახალგაზრდა გაზეთს, რომელსაც განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო, რაც გაზეთს სათავეში ჩაუდგა თვალსაჩინო ლიტერატორი ვანო ამირხანაშვილი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ სულითა და გულით ულოცავს იუბილარ კოლეგებს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს კვლავაც ორისრიანი დროის აღმნიშვნელ მატიანედ დარჩენას.

კულტურის სამინისტრო ცრუ ინფორმაციას ეხმაურება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ეხმიანება საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორის **გია ჭანტურიას** მიერ ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერით გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას, თითქოს სახალხო არტისტებისთვის სტიპენდია 300 ლარით განისაზღვრა და ასეთი არის სულ 30 ადამიანი.

„ბუნებრივია, რომ კულტურის სფეროში ნებისმიერი დადებითი სიახლე აღიზიანებდეს ადამიანთა იმ ჯგუფებს, ვის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების დროსაც, კულტურისა და სხვა სფეროს ღვაწლმოსილ მუშაკებს „ჩარეცხილებს“ უწოდებდნენ. სინამდვილეში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 ნოემბრის №524 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებისათვის განსაზღვრული ყოველთვიური სტიპენდია გაიზარდა 400 ლარიდან 600 ლარამდე, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე გია ჭანტურიას მიერ ცრუ ინფორმაციაში მითითებული 300 ლარი. ამასთან, იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც ეს ცვლილება შეეხო, არის 118 და არა 30, როგორც ამის შესახებ გია ჭანტურიამ განაცხადა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ადამიანთა უმეტესობა ღვაწლმოსილი, 70 წელს გადაცილებული პირები არიან“, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

ამასთან, სამინისტრო განმარტავს, რომ „ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეებისათვის ყოველთვიური დახმარების გაცემის შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით, მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან კულტურის იმ მუშაკებს, რომლებიც დღემდე დახმარების სახით სამინისტროსგან ყოველთვიურად 250 ლარს იღებდნენ, ეს თანხა 400 ლარამდე გაეზარდათ.

„ყოველივე ეს მოწმობს, რომ კულტურის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ ღვაწლმოსილი ადამიანები მეტად დაფასდნენ. ცხადია, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ სახელმწიფოს რესურსიც შეზღუდულია და სწორედ ამიტომ, კულტურის სფეროში ეტაპობრივად ხორციელდება ისეთი ცვლილებები, რომლებიც კულტურის მუშაკების დაფასებასა და მათ სოციალურ უზრუნველყოფას გულისხმობს“, – ვკითხულობთ განცხადებაში.

ხელშეწყობა ახალგაზრდა მეცნიერებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის კონკურსის „პრემია მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისთვის“ გამარჯვებული ახალგაზრდა წარმატებული მეცნიერები დააჯილდოვა, კონკურსში გამარჯვება მიულოცა და მომავალი წარმატებები უსურვა.

კონკურსის გამარჯვებული არიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ხუთი ახალგაზრდა მეცნიერი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით – **ლია წვერავა** (სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი); მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით – **თამარ ცერცვაძე** (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი); ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით – **ბესიკ დუნდუა** (კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი); საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით – **ერეკლე პირველი** (ეკონომიკის დოქტორი); სოციალური მეცნიერებების მიმართულებით – **ვლადიმერ გამსახურდია** (ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორი). მიხეილ ჩხენკელმა ახალგაზრდა მკვლევარებს მეცნიერების განვითარების კუთხით სამინისტროს სამომავლო გეგმები გააცნო.

მინისტრის თქმით, დაგეგმილია მეცნიერების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ევროპული მოდელის დანერგვა, კერძოდ, მაქს პლანკის ინსტიტუტების მოდელის გათვალისწინებით მოხდება სამეცნიერო დარგების კლასტერულად განვითარება, რაც განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას. მეცნიერების დაფინანსების ბიუჯეტი ყოველწლიურად გაიზრდება, ასევე მოხდება კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა. შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტროს პრიორიტეტი მეცნიერების წახალისება და მათთვის კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა. მიხეილ ჩხენკელმა ევროკავშირის ახალი ჩარჩო პროგრამის რწკშჭწტ შგკწზუის საგრანტო კონკურსებში ქართველ მეცნიერთა წარმატების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაწყებულია საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისების ქსელის შექმნა, რომელიც ეტაპობრივად ყველა უნივერსიტეტს მოიცავს და ქართველ მკვლევართა ჯგუფებს კონკურენტუნარიანი საპროექტო განაცხადის მომზადებასა და შემდგომში მის მართვაში დაეხმარება. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის კონკურსებში საქართველოს წარმომადგენლები ზუსტად იმავე პირობებითა და უფლებებით ისარგებლებენ, როგორითაც ევროკავშირის ქვეყნების სამეცნიერო და ინოვაციების სფეროს წარმომადგენლები სარგებლობენ. ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა ახალგაზრდა მეცნიერთათვისაც.

მიხეილ ჩხენკელმა განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ახალგაზრდა მეცნიერებს საგანმანათლებლო სისტემის მთავარი მეგა-პროექტის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიღწეული შედეგები გააცნო და აღნიშნა, რომ 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საშუალო საკონკურსო ქულის მიხედვით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის პირველ ადგილს იკავებს. უნივერსიტეტის სწრაფად მზარდი რეიტინგი იმის დასტურია, რომ მისი განვითარება სწორი ხედვით მიმდინარეობს.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის იდეისა და კონცეფციის ავტორი ბატონი ბიძინა ივანიშვილია. სწორედ მისი და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შედეგად ქვეყანაში გაჩნდა მსოფლიო მასშტაბის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი სივრცე.

მიხეილ ჩხენკელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის ფინანსური ძალისხმევით, პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამა ამოქმედდება. პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტების ახალი თაობის აღზრდას, რომლებიც არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მსოფლიოს სამეცნიერო და ინტელექტუალურ წრეებში საქართველოს შესახებ კვლევების მხარდამჭერებად და ცოდნის გამავრცელებლებად მოგვევლინებიან. პროგრამას ამერიკელი მეცნიერი და ქართველოლოგი პროფესორი სტივენ ჯონსი უხელმძღვანელებს, რომელიც 40 წელზე მეტია მოღვაწეობს ქართველოლოგიის მიმართულებით და საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების გულითადი მხარდამჭერია. ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამის საინაუგურაციო ლექციას 2022 წლის თებერვლის თვეში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წაიკითხავს.

შეხვედრის დასასრულს მიხეილ ჩხენკელმა ისინი სპეციალური პრიზებითა და სერტიფიკატებით დააჯილდოვა.

1200-ზე მეტ სტუდენტს სწავლა დაუფინანსდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ წარმატებულ სტუდენტებთან შეხვედრა გამართა. 2021 წელს სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, 1200-ზე მეტი სტუდენტი დაფინანსდა. პროგრამა აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ხორციელდება და მიზნად ისახავს განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას რეგიონში.

2021-2022 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრში სწავლა დაუფინანსდა ყველა იმ სტუდენტს, ვისი განაცხადიც აკმაყოფილებდა პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2021 წელს გათვალისწინებული იყო 900 სტუდენტის დაფინანსება, თუმცა ქვეყანაში შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წელს პროგრამის ბიუჯეტი 1 400 000 ლარამდე გაიზარდა. ხოლო, 2022 წელს დაგეგმილმა ბიუჯეტმა უპრეცედენტო ნიშნულს მიაღწია და 1 500 000 ლარით განისაზღვრა. **2012 წლიდან დღემდე, სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა დაფინანსება 8 მლნ ლარზე მეტია.**

ვინც ტაივანს აღიარებს, ის ჩინეთის მტერია!

ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ტაივანის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი, ვინც ტაივანის დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს, სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებარებიან და ჩინეთში, ჰონგ-კონგსა და მაკაოში შესვლა აეკრძალებათ.

„კონტინენტური ჩინეთი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დააკისრებს ტაივანის დამოუკიდებლობის გულმოდგინე მხარდამჭერებს კანონის შესაბამისად, რომელიც უვადოდ იმოქმედებს. ისინი გარე ძალებთან შედიან შეთქმულებაში ქვეყნის დაყოფისა და სრუტის ორ მხარეს შორის ურთიერთობების მკვეთრად დაძაბვის მიზნით. ტაივანის დამოუკიდებლობის ასეთ მხარდამჭერებს ვაფრთხილებთ, რომ მათ, ვინც წინაპრებს ივიწყებს, სამშობლოს ღალატობს ან ქვეყანას ჰყოფს, კარგი დასასრული არ აქვთ“, — აღნიშნა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ტაივანის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა. 11 ოქტომბერს ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ტაივანის საქმეთა სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მა სიაოგუანმა განაცხადა, რომ ტაივანის მმართველი პარტიის დამოუკიდებლობისკენ მისწრაფება რეგიონში დაძაბულობისა და არასტაბილურობის წყაროა. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური პეკინი დიდი ხანია ცდილობს ტაივანი „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკის ნაწილად აქციოს, ხოლო ტაივანი აცხადებს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ პეკინს მოუწოდა, ტაივანზე სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური ზეწოლა შეწყვიტოს. 4 ოქტომბერს, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰუა ჩუნინმა განაცხადა, რომ ტაივანი ჩინეთს ეკუთვნის და აშშ-მა უპასუხისმგებლო განცხადებები არ უნდა გააკეთოს.

საუდის არაბეთი აშშ-სგან იარაღს ყიდულობს

შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად დაამტკიცა საუდის არაბეთისთვის 4650 მილიონის ღირებულების იარაღის მიყიდვა. ეს ბაიდენის ადმინისტრაციის პირველი უდიდესი შეთანხმებაა იარაღის გადასაცემად სპარსეთის ყურის ქვეყნისთვის. პენტაგონის განცხადებაში წერია, რომ იარაღის მიყიდვა მიზნად ისახავს, დაეხმარონ ელ-რიადს მიმდინარე და სამომავლო საფრთხეებთან ბრძოლაში.

შეთანხმებაში ძირითადი კონტრაქტორი მასაჩუსეტსის შტატში არსებული ფირმა Raytheon-ია, რომელიც საუდის არაბეთს AMRAAM-ის რაკეტებს გადასცემს. იარაღის მიყიდვის შესახებ შეთანხმება არ საჭიროებს კონგრესის თანხმობას, მაგრამ კანონმდებლებს შეუძლიათ, დაბლოკონ გარიგება სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში.

ამერიკის უშიშროების დირექტორი მოსკოვს სტუმრობდა



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი უილიამ ბერნსი მოსკოვში გაგზავნა, რათა მან გააფრთხილოს კრემლი იმის თაობაზე, რომ „აშშ ყურადღებით აკვირდება უკრაინის საზღვრებთან რუსული ჯარების მობილიზებას“.

უილიამ ბერნსი მოსკოვს 2-3 ნოემბერს ეწვია და შეხვდა რუს მაღალჩინოსნებს, მათ შორის რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს მდივან ნიკოლაი პატრუშევსა და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ სერგეი ნარიშკინს. CNN-ის ცნობით, რუსეთში გამართული შეხვედრების შემდეგ ბერნსი ტელეფონით ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის და „დაძაბულობის მოხსნა სცადა“. ტელეკომპანიის წყაროების მტკიცებით, ბერნსის ვიზიტის მიზანი იყო იმის გარკვევა, რით არის განპირობებული უკრაინის საზღვართან რუსული ჯარისა და სამხედრო ტექნიკის მაღალი კონცენტრაცია.

ბალაგანის მასხარები

„საქართველო ჰიბრიდული ომის მდგომარეობაშია. შეგახსენებთ, „ჰიბრიდული“ ომი „კლასიკურისგან“ დიამეტრალურად განსხვავდება: „კლასიკური“ ომი გახლავთ პოლიტიკის წარმოება სხვა, ე.ი. სამხედრო საშუალებებით, ხოლო „ჰიბრიდული“ ომი პირიქითაა — აქ პოლიტიკა გახლავთ ომის წარმოების საშუალება; ორივე შემთხვევაში ომი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად — გარკვეულ სივრცეში გაბატონებისთვის წარმოებს; კლასიკური ომისას მოწინააღმდეგის პოლიტიკური ნება სამხედრო ძალით ითრგუნება, ჰიბრიდული ომისას კი — სამხედრო საშუალებების გამოყენება აუცილებელი აღარ არის, რადგან საომარი მიზანი პოლიტიკის წარმოების „ლეგალური“ ან ნახევრად-ლეგალური მეთოდებით მიიღწევა; ჰიბრიდული ომი იმიტომაცაა ჰიბრიდული, რომ მშვიდობიანობასა და ომიანობას შორის მკაფიო ზღვარის გავლება საერთოდაც შეუძლებელია; აქ ინიღბება არა მხოლოდ ომის მეთოდი, მისი წარმოების სტრატეგია და ტაქტიკა, არამედ თავად ომის მიზანიც; ტერიტორიის ოკუპაცია, ანექსია — მტრული ნების გაბატონება, როგორც ომის ნამდვილი მიზანი მხოლოდ მას შემდეგ გაცხადდება, როცა ეს მიზანი მიღწეულია, ე.ი. როცა უკვე მტრული ნება ბატონობს, ხოლო მანამდე, ე.ი. თავად ომის პროცესში — ეს მიზანი ლეგალური ან ნახევრად-ლეგალური, უარესიც — „სამართლიანი“ და უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, „სჯულისმიერი“ ფორმებითაა იმიტირებული;

ზოგიერთ შემთხვევაში, ჰიბრიდული ომის ნამდვილი მიზანი ე.წ. ქარიზმითაც ინიღბება; რასაც აქ და ახლა უყურებთ — ბოროტმოქმედების, უარესიც — უსჯულოების, არა მხოლოდ ლეგალიზება, არამედ — უარესიც: უსჯულოების საკრალიზება და მითოლოგიზებაცაა; რასაკვირველია, თავად ესეც უკვე საკმარისზე მეტი მტკიცებულება გახლავთ, რომ ჰიბრიდული ომი იდენტობების საინფორმაციო ომად შევიცნოთ.

სააკაშვილის ქარიზმა — არც მეტი, არც ნაკლები, მისი უსჯულოებაა; იგი მოქმედ სამართალს არ ცნობს და ამდენად, კანონის დარღვევა — მისი კონსტიტუციაა; ოღონდ, აქ საუბარია არა კონკრეტულად აქ და ახლა მოქმედ რაიმე ნორმაზე, არა მხოლოდ „ფორმალურ“ სამართალზე, არამედ ზოგადადაც — სამართალსა და სამართლიანობაზე, როგორც იგი, ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ გვესმის და უნდა გვესმოდეს, როგორც — სჯული, ანუ ის, რითაც მტყუან-მართალი განისჯება...

თითქოს ეს წარმოადგენს სააკაშვილის მითოლოგიზების სქემასაც — იგი წარმოიდგინება ისეთ გმირად, რომელიც ძველს უარყოფს და „ახალ სჯულს“ უბოძებს ერს; მაგრამ — თანამედროვე ეპოქაში მითოსური გმირები აღარ არსებობენ; საინფორმაციო ეპოქაში წარმოუდგენელია ისეთი მასობრივად „უვიცობის საბურველის“ შექმნა, რაც გმირის მითოლოგიზებას სჭირდება; მისი ზებუნებრიობა საკრალური იდუმალებისა და საიდუმლოებების, რაც მხოლოდ რჩეულთა მიერ „ინიციაციით“ შეიცნობა, გარეშე შეუძლებელია; სააკაშვილის შესახებ კი იმდენი მადისკრედიტირებელი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა დაგროვილი, რომ მისი მითოლოგიზება საერთოდაც მითოსის, როგორც ასეთის — გამასხარავებას, გააბსურდებასა და უარესიც, „ჩამობალაგანებას“ განაპირობებს; მართლაც — თუ სააკაშვილი იგივეა, რაც მაგ. გუბაზ სანიკიძემ გვამცნო — ერთდროულად ჰაველისა და ჩე გევარას ნაზავი, მაშასადამე — ჩე გევარაცა და ჰაველიც „მიშა“, ანუ ბალაგანის მასხარები ყოფილან, უარესიც — სააკაშვილის თანამედროვე ამირანად დახატვა, ძირისძირობამდე ანგრევს და საზრისს აცლის ყოველგვარ მითოსურობას; ეს გახლავთ ეროვნული იდენტობის ნგრევაც, რადგან ქართველობას თუ „ამირანიანს“ ჩამოუბალაგანებ, იგი ხალხის ნაცვლად — მასა, ისტორიის სუბიექტის ნაცვლად ობიექტი გახდება;

მითოსი მითოსად, მაგრამ მთავარი აქ სახელმწიფო იდენტობის — სჯულის, ე.ი. სამართლის ჩამობალაგანებაა: როცა ბოროტმოქმედის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება, ვინაიდან მიშა „არაჩვეულებრივია“, თურმე მითოსური გმირია, ქარიზმატულია, ახალი საქართველოს სჯულმდებელია, აღმოსავლეთ ევროპის ჯორჯ ვაშინგტონია და სხვ. შეუძლებელად ცხადდება, ეს არაჩვეულებრივობა — ქველმოქმედებად იწოდება, ხოლო ქველმოქმედი ბიძინა — ბოროტმოქმედად, სამართალი საერთოდაც საზრისს კარგავს. ხოლო თუ სამართალი საზრისს კარგავს, იქ რაიმე სახელმწიფოებრივი იდენტობა აღარ არსებობს, დანგრეულია. სადაც სახელმწიფო და სჯული არ არის, ის უკვე მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიაა. აი, რატომ არის ჰიბრიდული ომი — საინფორმაციო“.

დავით ზარდიაშვილი

ლევან ნიკოლეიშვილი:

კლინიკების ასოციაციის უტიფარი განცხადება

„კლინიკების ასოციაცია, რომელიც სერიოზულად ჩაერთო „ნაციონალური მოძრაობის“ რევოლუციურ დღის წესრიგში, საოცრად უტიფარ განცხადებას აკეთებს და ექიმებსა და კლინიკებს მოუწოდებს, საჭიროების შემთხვევაში არ უმკურნალონ პრეზიდენტს (სალომე ზურაბიშვილს), პრემიერ-მინისტრს, მინისტრებსა და სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, მანამ სანამ მიხეილ სააკაშვილი არ იქნება გადაყვანილი კლინიკაში, ან უფრო მეტიც, სანამ არ იქნება განთავისუფლებული ციხიდან!“, — ამ სიტყვებით ეხმაურება ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი კლინიკების ასოციაციის მიერ გავრცელებულ მიმართვას, რომლის თანახმად კლინიკების ასოციაცია ექიმებს ბოიკოტისკენ მოუწოდებს, ვიდრე ექსპრეზიდენტს სამკურნალოდ კლინიკაში არ გადაიყვანენ.

ნიკოლეიშვილის თქმით, სააკაშვილი საქართველოში ძალით არავის ჩამოუყვანია და შიმშილობის გადაწყვეტილებაც თვითონ მიიღო.

მისივე თქმით, დროა, ხელისუფლებამ გაასაჯაროოს ინფორმაცია, თუ რა საკვებს ან მედიკამენტებს იღებს ან არ იღებს მიხეილ სააკაშვილი: **„გასაგებია, რომ სააკაშვილს არც თუ ისე ცოტა მხარდამჭერი ჰყავს, არცთუ ისე ცოტა ადამიანი ამართლებს იმ ჩადენილი დანაშაულების გამო, და უფრო მეტიც, ალბათ გულში იძახიან სწორედ შვრებოდა თუ ხალხს აწამებდა და იმ ქვეყნად ისტუმრებდაო. მაგრამ ერთი კია, რომ ბევრი მაგრამ არსებობს: ექიმების სახელით მოსაუბრეებს ჰიპოკრატეს ფიცის შესახებ თუ გაგიგიათ? ან ღვთის არ გეშინიათ? თქვენთვის სააკაშვილი დამნაშავე არ არის, საქართველოს სასამართლო და ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლო დამნაშავედ მიიჩნევს!**

სააკაშვილი ძალით არავის არ ჩამოუყვანია, შემოიპარა, დააკავეს, ციხეში მოათავსეს, შიმშილობაც თვითონ დაიწყო ... და ახლა ქვეყანას აწრიალებთ, არიქა, შიმშილობს, არიქა ცუდად არის, არიქა ... თვითონ კი დღე არ გავა ახალ რევოლუციურ სცენარს არ აანონსებდეს. თუ შიმშილობს, იშიმშილოს, თუ არადა ან შეწყვიტოს შიმშილობა და თავის მსჯავრს დაელოდოს, და მოიხადოს სასჯელი, თან გაასაჩივროს... ისე, კი დროა ხელისუფლებამაც გაასაჯაროოს ინფორმაცია, რას სვამს ან არ სვამს, რას ჭამს ან არ ჭამს, რა მედიკამენტებს იღებს და ასე შემდეგ! უკვე დიდი ხანია, დადგა ის დრო, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, და იცოდეს საზოგადოებამ ვინ ვინ არის, და ვინ, რას და რატომ შვება! ან კანონით იმოქმედეთ ან გამოაცხადეთ, რომ დამნაშავეების, ამრევების, ცილისმწამებლების, პროვოკატორების და სხვების დასჯა არ შეიძლება, ოღონდ ნურც ამერიკას და ნურც ევროპას ნუ დააბრალებთ, მოგიტრიალდებათ ეს უკანასკნელები და მოკლედ და პირდაპირ ჰკითხეთ მათ ქვეყნებში ასეთ დანაშაულებში ბრალდებულებს როგორ ექცევიან?! ტელემედიას სახელით მოქმედ დეზინფორმატორებს როგორ ექცევიან ?! სააკაშვილის და მისი მომხრეების დღის წესრიგით ხომ არ უნდა იცხოვროს მთელმა ქვეყანამ? დამნაშავეა დასაჯეთ, ზედ მიაყოლეთ წვრილ-წვრილი მათი მომხრეებიც თუ დანაშაული აქვთ ჩადენილი, თუ არადა ყოველდღე ამათ უშნოდ დადგმულ სპექტაკლებს მტერმა უყურა.

სახელმწიფო — იმოქმედე!!!“ — წერს ლევან ნიკოლეიშვილი.

ინფორმაციისთვის, საქართველოს კლინიკების ასოციაცია ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით მორიგ მიმართვას ავრცელებს და ექიმებს მოუწოდებს პროტესტის ნიშნად, უპრეცედენტო ბოიკოტი გამოაცხადონ: **„სანამ სააკაშვილს არ მიეცემა მკურნალობის საშუალება, არ გაუწიოთ სამედიცინო დახმარება მთავრობის მაღალჩინოსნებს“,** — აცხადებს ასოციაციის პრეზიდენტი.

შანტაჟისტი

ისევ სააკაშვილის შიმშილობასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ისტერიის თაობაზე

მართალი გითხრათ, ჩემთვის ბოლომდე გარკვეული არაა, რა მოთხოვნით შიმშილობს ყოფილი პრეზიდენტი და, საერთოდ, იცავს თუ არა ყველა იმ წესს, რასაც ამ ტიპის საპროტესტო აქცია გულისხმობს. არაა გარკვეული იმიტომ, რომ არ ვფლობ სათანადო ინფორმაციას. არ ვფლობ არა იმის გამო, რომ არ დავინტერესდი ან ვერ მოვიძიე, რეალურად, ასეთი ინფორმაცია

არ არსებობს, ან იმდენად წინააღმდეგობრივია, სიცხადის ნაცვლად, კიდევ მეტი გაურკვევლობა შეაქვს საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ყველანაირი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, თვითონ მოშიმშილე არაა დაინტერესებული მისი ჯანმრთელობის თაობაზე პერსონალური ინფორმაციის გახმაურებით, მეორე მხრივ — ხელისუფლება ვერ ან არ აკეთებს ამას, რადგან ან არც ისაა დაინტერესებული, ან უფლება არ გააჩნია.

არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ვინმეს პიროვნულ დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ, თუმცა, აზრის გამოხატვა ყველას შეუძლია და მეც ვისარგებლებ შემთხვევით. ყოფილ პრეზიდენტთან ჩემი ურთიერთობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება და მასზე დაკვირვება სრულ უფლებას მაძლევს, ვიფიქრო, რომ იგი ამჯერადაც ცრუობს. რეალურად, მისი საშიმშილო აქცია არის ბლეფი. მხოლოდ ვარაუდი შემიძლია გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, როგორ და რა ფორმით იღებს ენერგიისა და ფიზიკური კონდიციის შესანარჩუნებელ ვიტამინებს, რომლებიც, დიდი ალბათობით, მის მოსანახულებლად შესულ თანაგუნდელებს შეაქვთ მასთან.საპყრობილის ადმინისტრაციამ, ცხადია, იცის ეს ყველაფერი, მაგრამ შეგნებულად ხუჭავს თვალს.

აზრი — აზრად, მაგრამ ეს მხოლოდ პირადი შეხედულებაა და არაფერი აქვს საერთო საკითხის სამართლებრივ ასპექტთან. ჩვენ, ყველანი, უნდა ვთანხმდებოდეთ რამდენიმე ფუნდამენტურ მიდგომასთან დაკავშირებით:1) მ. სააკაშვილი არის ჩვეულებრივი პატიმარი, მიუხედავად მისი სახელისუფლებო ბეგრაუნდისა, ისევე, როგორც მავანი ხულიგანი, მოძალადე ქმარი თუ ხაზინის ქურდი; 2) მას უფლება აქვს, ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რასაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პატიმრის მიმართ, შეხვდეს ადვოკატებს, ოჯახის წევრებს, სათანადო უფლებამოსილების მქონე სხვა პირებს, მიიღოს და გაავრცელოს კორესპონდენცია, ჰქონდეს საპატიმროში ნორმალური საყოფაცხოვრებო გარემო, დაცული იყოს მისი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

ერთი სიტყვით, თავს მშვიდად უნდა გრძნობდეს და საკნის კარის ყოველი გაღებისას არ ეშინოდეს, რომ ვიღაც ახვრები ხელს დაავლებენ და პრეზერვატივწამოცმული დრინინთ გასაუპატიურებლად წაათრევენ, ან წიხლქვეშ ამოხდიან სულს, როგორც ეს ხდებოდა მისი პრეზიდენტობის დროს. პატიმარ სააკაშვილს ყველაფერი ეს გარანტირებული აქვს. მისი ყველა უფლება დაცულია, მაგრამ მაინც აცხადებს, რომ შიმშილობს და ყველაფერ ამას საფუძვლად ედება სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნა.

მივყვეთ მარტივ ლოგიკას და დავსვათ კითხვა, — რა არის სინამდვილეში მისი და ციხის გარეთ მომლოდინე გულშემატკივრების მიზანი? საპატიმროს შინაგანაწესის რომელიმე პუნქტის დარღვევას რომ უჩიოდეს, მაშინ პროტესტი გასაგები იქნებოდა, მაგრამ საამისო საფუძველი არ გააჩნია. რაკი არ აქვს, წესით, არც უნდა შიმშილობდეს, ჩვეულებრივად მიირთმევდეს და სამომავლო ენერგიას ზოგავდეს. კვების ნორმალური რეჟიმის პირობებში არც ცუდად გახდებოდა და სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანაც არ იქნებოდა საჭირო. რამდენადაც ვიცი, ციხის საავადმყოფო გადაუდებელი მკურნალობისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და თუ ასეთი მკურნალობის საჭიროება დადგა, ეს ნამდვილად არ იქნება პრობლემა. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია, დასვას საკითხი, მოიწვიონ საერთაშორისო დამკვირვებლები, ექსპერტები, უცხოელი მედიკოსები, დაათვალიერონ ციხის საავადმყოფო, მისი სამედიცინო აპარატურა და დადონ შესაბამისობის (ან პირიქით — შეუსაბამობის) დასკვნა. ამას არავინ აკეთებს. რასაც აკეთებენ, ყველანი ვხედავთ და ყველაფერ ამაზე არსებობს მარტივი პასუხი — შანტაჟი. დიახ, ესაა სახელმწიფოს დაშანტაჟების მცდელობა პატიმარ მ. სააკაშვილისა და მისი თანამოდასეების მხრივ, — თუ მრავალპროფილიან სამოქალაქო კლინიკაში არ გადაიყვანთ, ადამიანი კვდება და მისი ცოდვა თქვენზე იქნებაო. ეს შანტაჟი უხვადაა შეზავებული ქრისტიანული მორალის ელემენტებით და ადამიანთა არცთუ მცირე რაოდენობაზე ახდენს ემოციურ ზემოქმედებას.

ციხიდან გამოყვანისა და სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის შემდეგ რა პროვოკაციული გეგმა აქვთ ჩაფიქრებული, ამის მიხვედრა ძნელი არაა, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

ვისაც უნდა, შეუძლია სადისტად ჩამთვალოს, მაგრამ ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქის პოზიცია ასეთია: არანაირ შანტაჟს სახელმწიფო არ უნდა წამოეგოს. არანაირი განსაკუთრებული რეჟიმი მ. სააკაშვილისთვის არ უნდა შეიქმნას. ის, ვიმეორებ, არის ჩვეულებრივი პატიმარი და მყარად უნდა ჰქონდეს გარანტირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო უფლება, ხოლო ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში, თუ ასეთი რამ შიმშილობის, ან სხვა მიზეზით, მაინც მოხდა, ჩაუტარდეს იძულებითი მკურნალობა.

ორჯერ ორი ოთხია, ხუთი არაა“...

ზურაბ დათუაშვილი

რატი ბრეგაძე:

პენიტენციურ დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილი ილებს სხვადასხვა სახის ფაფებსა და ნატურალურ წვენებს

„რაც შეეხება სხვა საკვებ დანამატებს, ამ საკითხზე ჩვენ მოგვმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა სადეპუტატო კითხვით და ჩვენ ვალდებული ვიყავით გაგვეცა პასუხი. აქ იყო რამდენიმე შეკითხვა და მათ შორის ერთი ეხებოდა საკვებ პროდუქტებსაც, რომელზეც ადრე დასმული იყო კითხვა — ეს პროდუქტები მიხეილ სააკაშვილმა შეიძინა თუ არა და ასევე ბუნებრივია გრძელდება თუ არა ამ პროდუქტების მიღება. ამაზე ახლა ტელეეთერში პირველად ვსაუბრობ. რადგან პარლამენტარს უკვე ვუპასუხეთ, ეს ინფორმაცია ისედაც გახდება საჯარო. აქვე გეტყვით, დიახ, მიხეილ სააკაშვილმა პენიტენციურ სისტემაში შემოსვლისას მიიღო საბანკო ბარათი, ეს ძალიან სწრაფად მოხდა, შესახლებიდან სულ რაღაც ორ დღეში. თავიდან შეიძინა გარკვეული პროდუქტები, შემდეგ როგორც ცნობილია მან უარი განაცხადა ამ საკვები პროდუქტების მიღებაზე. გავიდა გარკვეული პერიოდი და ის დათანხმდა და საკუთარი სურვილით მიიღო გარკვეული ფაფები სხვადასხვა სახის და ნატურალური წვენები. ასევე ის განაგრძობს იმ მედიკამენტების მიღებას, რომელიც ექიმებმა გამოუწერეს“, — აღნიშნა ბრეგაძემ.

რაც შეეხება მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლამდე კუჭის ოპერაცია გაიკეთა, ამ თემაზე დასმულ კითხვას იუსტიციის მინისტრი ასე პასუხობს: „ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ოპერაციას, ბუნებრივია პერსონალურია და ამ საკითხზე მე ვერ ვისაუბრებ“.

„მაინც ამოვიხრი“!

ვინ არის სააკაშვილი

...კვლავ განიხვნება კარი სამოთხის,
როცა უფალი დაგვაკავშირებს,
შთამომავლობა ერთად ამოთხრის
ყორღანოვებს და სააკაშვილებს.

ლაშა ნადარეიშვილი

(„ტრიპტიხი ყორღანოვებს და სააკაშვილებს“)

ძვირფასო მკითხველო, ამ ნაცისტური ოპოზიციის ახალი შეშლილობის და მათი ფიურერის პატიმრობის ჟამს მინდა შეგახსენოთ მიხეილ სააკაშვილის აღზევების ისტორია, რომელიც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო.

1994 წელს ზურაბ ჟვანიამ „პეტერსონ ბელქნავი“-ს სათავო ოფისში ედუარდ შევარდნაძეს გააცნო ახალგაზრდა, იმედის მომცემი მომავალი პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი. „პეტერსონ ბელქნავი“ (პეტერსონი იგივე პეტროსიანი) აფინანსებდა სააკაშვილის სამთვიან კურსებს აშშ-ში. ფირმის ინტერნეტ გვერდზე აღნიშნულია ის სასწავლებლები, სადაც მისი პროტეჟეები სწავლობდნენ. ჩამონათვალში არის კოლუმბიის უნივერსიტეტიც, სადაც სააკაშვილმა სამთვიანი კურსები გაიარა. აღნიშნული ფირმის საკუთრებად სახელდება ნიუ-იორკის ადვოკატთა ფირმაც, სადაც სააკაშვილი ვითომდა მუშაობდა, სინამდვილეში კი პოლიტიკაში ჩასანერგად ამზადებდნენ.

„პეტერსონ ბელქნავს“ ლობირებს სომხური დიასპორა. საქართველოში მისი კურატორია ვინმე ვან კირკორიანი. ფირმა დაინტერესებულია ნავთობით, გაზით, ფერადი ლითონებით, ოქროთი, ელექტროენერგიით, სამთომოპოვებითი ბიზნესით, მასმედიით. მათი უპირველესი მიზანია, საქართველო აქციონ სატრანზიტო ქვეყნად სომხეთისთვის შავ ზღვაზე გასასვლელად. „პეტერსონ ბელქნავის“ ჯგუფი საქართველოში მრავალ ფორმას ფლობს, რომლებიც წარმოდგენილია „ჯისიჯი“ იურიდიული ოფისით. მათი დამფუძნებელია მიხეილ სააკაშვილი კონსტანტინე რიჟინაშვილთან ერთად. ეს უკანასკნელი კიევის უნივერსიტეტში მიხეილ სააკაშვილის კურსელი იყო. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სკოლა. „პეტერსონ ბელქნავის“ იურისტები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ „ჯისიჯი“-ს იურიდიულ ოფისთან სხვადასხვა პროექტებზე: რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ოქროს საბადოების ექსკავაციის სამუშაოებზე, ნავთობისა და გაზის პროექტებზე და ასევე მრავალ სხვა უცხოურ ინვესტიციებზე. სხვათა შორის, როცა ნიკო ლეკიშვილის დროს მინისტრთა კაბინეტი გადადგა, სააკაშვილმა პრეზიდენტთან რიჟინაშვილი წარადგინა ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე.

მოკვლეული ჟურნალისტური მასალების საფუძველზე დგინდება, რომ „ჯისიჯი“ იურიდიული ოფისის ნიღბის ქვეშ ამოფარებული ლობისტური ფირმაა. თავად „ჯისიჯის“ კურიერებს „პეტერსონ ბელქნავი“, რომელსაც აბსოლუტურად სომხური დიასპორა აკონტროლებს. ასე რომ, ყველა გზა რომში კი არა, ერევნისკენ მიდის, აქედან კი როგორც ეროვნულ, ასევე ამერიკულ-სომხურ დიასპორამდე. ასე რომ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ეროვნული კი არა „ერევნელი“ წარმოშობის ხალხია.

ვამთავრებთ თემურ შაშიაშვილის ინტერვიუთი გაზ. „ასავალ-დასავალიდან“ (2007 წლის 22 ოქტომბერი): ჩემთვის სომხობა ცუდი არ არის, სომხობის დამალვაა ცუდი. რატომ მალავ? როცა პოლიტიკაში ხარ და მით უმეტეს პრეზიდენტი ხარ, ხალხმა შენს შესახებ ყველაფერი უნდა იცოდეს. არაფერი ცუდი არ არის იმაში, რომ სააკშვილის დიდი ბაბუის ძმა სომეხი ტერტერა იყო და ქუთაისის ერთ-ერთ სომხურ ეკლესიაში მსახურობდა. ეს სააკაშვილმაც იცის. ის კაცი ქუთაისშია დასაფლავებული. სააკაშვილი ქუთაისში რომ ჩამოდიოდა, ვეუბნებოდი, წამოდი, შენი ბაბუის საფლავს განახებ-მეთქი, მაგრამ ცოცხალი თავით არ მომყვებოდა.

სხვათა შორის, ყარაბაღის ყოფილი მმართველიც სააკიანი იყო. მასთან მქონდა საუბარი და ამბობს, რომ სააკაშვილი ჩემი ნათესავიაო.

შემთხვევით არ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ პასპორტიდან ეროვნებისა და მამის სახელის ამოღების ინიციატორები მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია იყვნენ. მოტივაცია კი იყო — „ჩვენ მსოფლიო მოქალაქეები, თანაც ევროპელები ვართ, ცივილიზებულნი. მამის სახელი რუსებმა მოგვახვიეს თავზე. ეროვნება კი ფაშისტური გადმონაშთიაო“.

კიდევ ერთი დეტალი. 2008 წლის ომი კარგად ჩაფიქრებული პროვოკაცია იყო. ომამდეც და ომის დროსაც მთავარი ფიგურები ორი თბილისელი სომხური წარმოშობის პოლიტიკოსი გახლდათ: ამერიკაში მოქმედი ცნობილი „სომხური ლობის“ — კირკორიანის „პეტერსონ ბელქნავის“ ფირმაში დაფრთიანებული საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (სააკოვი) და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი (კალანტაროვი).

გურამ ხომერიკი,
გეოლოგი, ქ. ბათუმი
ტელ. 599 98 49 47

◎ ტესტების წინ

იდეალურ კონდიციებში

რაგბის კავშირის ფიზმომზადების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ირაკლი ჭყონია** ამბობს, რომ „შავი ლომის“ შექმნამ მწვრთნელებს ნაკრების კანდიდატებთან ხანგრძლივად მუშაობის საშუალება მისცა, რაც გუნდის ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე დადებითად აისახა.

ის ასევე ბედნიერია, რომ ლეგიონერთა უმრავლესობა მიმდინარე სეზონში ტოპ 14-სა და პრო დე 2-ში რეგულარულად ვარჯიშობს:

„დიდი 10-ის კლუბებში გაფანტული ნაკრების კანდიდატების „შავ ლომში“ თავმოყრამ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. ისინი აგვისტოდან მოყოლებული პროფესიონალურ გარემოში ემზადებიან და ნოემბრის ტესტებს საუკეთესო ფიზიკურ კონდიციებში ხვდებიან.

საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერთა პრობლემა ის იყო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მათი დიდი ნაწილი შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. წელს ისინი რეგულარულად თამაშობენ უმაღლესი დონის ჩემპიონატს, რაც იმის დასტურია, რომ კარგ კონდიციებში არიან. იგრძნობა, რომ ყველა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. ჩვენი ახალგაზრდული გუნდისთვის მნიშვნელოვანია, რომ ტრავმირებულ მოთამაშეთა მთელი ჯგუფი დაგვიბრუნდა და ისინი უკვე კვირიდან კვირამდე თამაშობენ საკუთარ კლუბებში. ეს დიდი ძალაა და ტურნეს საბრძოლო შემადგენლობით, კარგ განწყობაზე ვხვდებით“.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ჭყონიასა და მოთამაშეთა განწყობაზე დადებითად აისახა და ეს მთავარი მწვრთნელის, **ლევან მაისაშვილის** დაბრუნებაა:

„ჩვენთვის უდიდესი მოტივაციაა ლევან მაისაშვილის დაბრუნება, რომელმაც უმძიმეს კოვიდვირუსს დააღწია თავი და ჯერ „შავ ლომში“, ახლა კი ნაკრებში დაგვიბრუნდა. ის არაჩვეულებრივი ხელმძღვანელია, გუნდში საუკეთესო გარემო შექმნა და დარწმუნებული ვარ ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევთ“.

„ბორჯღალოსნებმა“ ნოემბერში გასამართავი ტესტ-მატჩებისთვის (14 ნოემბერს საფრანგეთთან, 20 ნოემბერს ფიჯისთან) შეკრება „შევარდენის“ ბაზაზე დაიწყეს და ვარჯიშებს შეუდგნენ. ფიზმომზადების ჯგუფის მხრიდან, პირველი ორი დღე დიდი ყურადღება დაეთმო აღდგენას, ხვალ და ზეგ კი ბიჭებს მძიმე დღეები ელით:

„ამ კვირაში მზადების უმეტესი ნაწილი უნდა გავიაროთ. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრულყოფილი ტესტირება დროის სიმცირის გამო არ გაგვივლია, თუმცა ყველა მონაცემების მიხედვით, ფიზიკურად ტიერ1-ის საერთაშორისო მოთხოვნებთან ახლოს ვართ.

იმისათვის, რომ მორაგბე კარგ ფიზიკურ კონდიციებში იყოს, მნიშვნელოვანია რეგულარულად თამაშობდეს მაღალი დონის, ხარისხისა და ტემპის თამაშებს. პირველი ორი დღე დატვირთვებისა და მგზავრობის შემდეგ ენერგიის აღდგენას დაეთმო, ხვალიდან კი მაღალი ინტენსივობის ვარჯიშებს ვიწყებთ. ფიზიკურთან ერთად ყურადღება ეთმობა ტაქტიკურ მომზადებას და გუნდის შეთამაშებას“.

ირაკლი ჭყონია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც კონკრეტულად ფიზმომზადების ჯგუფში, ასევე მთელს სამწვრთნელო შტაბში საერთო მიზნისთვის ყველა მაქსიმალურად იხარჯება:

„ჩვენი გუნდი ერთ საერთო მექანიზმად მუშაობს, სადაც თითოეული ჭანჭიკის კარგად მუშაობა, შესაბამისად აისახება გუნდის მომზადებაზე. კარგია, რომ თამაშამდე მთელი კვირა გვაქვს და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა ღირსეულად წარვსდგეთ გულშემატკივრის წინაშე და ხარისხობრივად კარგი თამაში ვაჩვენოთ“.

◎ ვერსია

არველაძე ინგლისში?

ინგლისის ჩემპიონშიფის ბინადარი „ჰალ სიტი“ შესაძლოა შოთა არველაძემ ჩაიბაროს. თურქული გამოცემის, Fanatik-ის ინფორმაციით, ინგლისურ გუნდს სულ მალე თურქი ბიზნესმენი აკუნ ილიჩალი შეიძენს, რომელსაც მწვრთნელად არველაძის დანიშვნა სურს.

წყაროს თანახმად, არველაძემ ილიჩალის მოსაფიქრებლად დრო სთხოვა, მაგრამ შეთავაზებას აუცილებლად დათანხმდება და კარიერას ინგლისში გააგრძელებს.

მეორეს მხრივ, ისიც ცნობილი გახდა, რომ მოლაპარაკებები „ჰალ სიტის“ მოქმედ ხელმძღვანელობასა და ილიჩალის შორის ფინალურ ეტაპზეა და კლუბის გადაცემა ოფიციალურად უახლოეს დღეებში დასრულდება.

„ჰალისთვის“ სეზონი რთულად დაიწყო და 15 ტურში მხოლოდ 9 ქულა დააგროვა, ამიტომაც, 24-გუნდიან ჩემპიონშიფში 22-ე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ შოთა არველაძე ბოლოს ტაშკენტის „ფახთაქორში“ მუშაობდა, რომელიც დეკემბერში დატოვა, მანამდე კი „ქაისერისპორის“, „ქასიმპაშას“, „ტრაბზონსპორისა“ და თელ ავივის „მაკაბის“ თავკაცი იყო.

◎ რეიტინგი

მართლაც რომ ბარაქიანი შემოდგომა უდგათ ქართველ ჩოგბურთელებს, რაც ნოემბრისთვის საერთაშორისო ასოციაციების განახლებულ რეიტინგებში აისახა.

კერძოდ, ქალთა წყვილების წამყვან ასეულში უკვე ორი წევრი გვყავს — **ოქსანა კალაშნიკოვა** (72-ე) და **ეკატერინე გორგოძე** (78-ე), ხოლო **მარიამ ბოლქვაძე** 104-საფეხურიანი პროგრესის შემდეგ უკვე 259-ე პოზიციას იკავებს. რაც შეეხება ჩვენს ვაჟთა ლიდერს **ნიკოლოზ ბასილაშვილს,** რომელმაც ტრავმის გამო სეზონი ვადამდე დაასრულა, როგორც უკვე გაუწყეთ, იგი ახალ წელს ფრიად საპატიო 21-ე ადგილზე შეხვდება.

◎ ძიუდო

ჯაბას „ოქრო“

ბაძოს გრანდ სლემზე საქართველოს ნაკრების აქტივში პირველი ოქროს მედალია, რომელსაც 23 წლის ჯაბა პაპინაშვილი დაეუფლა. პირველ საშეჯიბრო დღეს ტატამზე სამი ქართველი გავიდა და მედალი მხოლოდ პაპინაშვილმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში რუს ალბერ ოგუზოვს აჯობა.

პაპინაშვილმა 60 კგ წონით კატეგორიაში პირველ წრეში უკრაინელ კირილ სამოტუგს იპონით მოუგო, ისევე როგორც შემდეგ წრეში აზერბაიჯანელ ბალაბაი აღაევს, ნახევარფინალში კი მონღოლი სუმიაბაზარ ენხტაივანი ვაზარით დაამარცხა და ფინალში რუს ალბერ ოგუზოვს გაეჯიბრა, რომელსაც ვაზარით სძლია და ოქროს მედალი დაისაკუთრა..

„ვერცხლიც“, „ბრინჯაოც“

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ძიუდოში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატი მიმდინარეობს და პირველ საშეჯიბრო დღეს საქართველომ ორი მედალი მოიპოვა. **ალეკო მამიაშვილი „ვერცხლს“, ხოლო გიორგი თუთაშვილი „ბრინჯაოს“ დაეუფლა.**

მამიაშვილმა (73 კგ) ფინალამდე ბელარუსი რუსლან ჰალავაჩოუ, ბულგარელი მარკ ჰრისტოვი, უნგრელი დანიელ შეგედი და მოლდოველი ადილ ოსმანოვი დაამარცხა, ხოლო ფინალში მისი მეტოქე სომეხი არმენ აგაიანი იყო და მარცხი განიცადა, შედეგად კი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა გიორგი თუთაშვილმა (66 კგ), რომელმაც ავსტრიელ მარიო ვეიზინგერს, აზერბაიჯანელ ელჩინ ჰუსეინოვს და ისრაელის წარმომადგენელ ამიტ ბობოვიჩს აჯობა, ნახევარფინალში კი რუმინელ ლუსიან დუმიტრესკუსთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედლისთვის ფრანგ ორლანდო კაზორლას გაეჯიბრა, ვისაც იპონით აჯობა.

◎ ლეგიონერი

ექიმებიც ცდებიან

მას შემდეგ, რაც სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ შეხვედრაში თორნიკე შენგელიამ მხარი იტკინა, ცსკა-ს სამედიცინო შტაბმა მოსკოველთა ქართველ ლიდერს ორთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდი გამოუწერა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხანდახან ექიმებიც ცდებიან.

დიახ, „ჯვაროსანთა“ კაპიტანს პარკეტზე დასაბრუნებლად 20-დღიანი მკურნალობა ეყო, თუმცა, კრიზისში მყოფ რუსულ გრანდს ვერც მან უშველა.

ჯერ არმიელები ესტონეთში ვითიბი ლიგის მატჩში ტალინის „კალევთან“ 56:67 დამარცხდნენ, სადაც 24 წუთში ჩვენებურმა 7 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 3 შეცდომა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა, ხოლო შემდეგ მისმა კლუბმა საკუთარ დარბაზში ევროლიგის ზედიზედ მესამე ბრძოლა სტამბოლის „ფენერბახჩესთან“ 82:91 დათმო.

თორნიკემ პირადი მონაგარი ამჯერად 25 წუთში 10 ქულამდე გაზარდა, თურქთაგან კი საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავმა ნანდო დე კოლომ ივაჟკაცა, რომელმაც ბოლო წუთებზე ყოფილ პარტნიორებს ზედიზედ ორი გადამწყვეტი სამქულიანი ჩაუგდო.

◎ მოწოდების ერთგული

კალათბურთისთვის დაბადებული

იგი ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი გახლდათ და, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული, ერთხანს თეთრი ხალათით მოსკოვში ექიმობდა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მოგვიანებით მედიცინას ჩამოშორდა და სპორტულ მოწოდებას დაუბრუნდა.

თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრ ვალერი (ტომიკ) ჯგერენაიაზე მოგახსენებთ, რომელსაც ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდებოდა.

განსაკუთრებული იყო მისი წვლილი მშობლიური აფხაზეთის ომის მსვლელობისას საკალათბურთო კლუბ „სოხუმი — 91“-ის მონაწილეობის საქმეში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ხოლო აღნიშნული ტრაგიკული პროცესების დასრულების შემდეგ წარმატებით ავარჯიშებდა სკ „თბილისს“, რომელიც ფინალურ სერიებში ღირსეულ მეტოქეობას უწევდა ფავორიტ „ვითას“.

გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, რომ იმ გუნდის ღირსებას თვით ნიკოლოზ დერიუგინი, ნოდარ ქორქია, პაატა გურასპაული და დავით თორთლაძე იცავდნენ, ხოლო ერთ-ერთ გადამწყვეტ თამაშს დედაქალაქის სპორტის სასახლეში, „ევროსპორტის“ ინფორმაციით, 15 ათასი ქომაგი დაესწრო, თანაც მაშინ, როცა ქვეყანაში უშუქობა, უტრანსპორტობა და განუკითხაობა იყო გამეფებული.

უკანასკნელად დეზერტირების ბაზარში შემხვდა წინასაახალწლო დღეებში და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ინტერვიუზეც შევთანხმდით, მაგრამ მალევე სამწუხარო ამბავი გავიგე — 2002 წლის 20 იანვარს ვალერი ჯგერენაია ინფარქტით გარდაცვლილა.

გაისად მისი დაღუპვიდან 20 წლისთავია.

რამდენი სკოლა და კლასია დისტანციურ სწავლებაზე?!

გასული ერთი კვირის მონაცემის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით შემცირდა დისტანციურ სწავლებაზე გადასული სკოლებისა და ცალკეული კლასების რიცხვი. დღეის მონაცემებით, დისტანციურ სწავლებაზე იმყოფება 172 სკოლა და ცალკეული 408 კლასი. ხოლო სწავლის სასკოლო სივრცეში განახლებიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით დისტანციურ სწავლებაზეა რისკის ჯგუფის 196 მასწავლებელი.

სტაბილური ვითარება ნარჩუნდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში Covid-19-ის ვირუსის გავრცელების კუთხით. ბოლო შვიდი დღის განმავლობაში კორონავირუსი დაუდასტურდა მასწავლებლების 1%-ს, ხოლო მოსწავლეების — 0.4%-ს. ამ ეტაპისთვის აცრილია მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 70%.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში Covid-19-ის ვირუსის პრევენციის მიზნით აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით. ასევე აქტიურად მიმდინარეობს Covid-19-ზე მასწავლებელთა ტესტირება. სკოლები სრულად არიან აღჭურვილი პანდემიის პრევენციისათვის სასწავლო წლის ბოლომდე საჭირო რესურსების მარაგით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს სრულიად სასკოლო საზოგადოებას, მაქსიმალურად დაიცვან ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციები, აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში.

12 წლიდან ბავშვებში ვაქცინაცია იწყება!

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, პაატა იმნაძის განცხადებით, საქართველოში 12 წლიდან ბავშვებში ვაქცინაცია დაიწყება. ამის შესახებ იმნაძემ რუსთავი 2-ის ეთერში განაცხადა.

„ბავშვებში 12 წლიდან ვაქცინაციას დავიწყებთ, მათ შორის, მათი, ვისაც არ აქვს ქრონიკული დაავადებები. ექსპერტთა საბჭომ განიხილა და უკვე გადაწყვეტილია ეს საკითხი. ახლა ველოდებით, რომ შეიკრიბება იმუნიზაციის უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ამაზე და, ალბათ, ეს სულ დღეების ამბავია“, — თქვა პაატა იმნაძემ.

მამა ოთარ ხუციშვილი, მეუღლე ირინე გიორგაძე, შვილები ნინო, მარიამი, ოთარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კობა ხუციშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ ძვირფას კოლეგას და მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ოთარ ხუციშვილს დედისერთა ვაჟის

კობას

გარდაცვალებას. ვუსამძიმრებთ აგრეთვე კობას ოჯახს, მეუღლესა და შვილებს.

ანზორ ჯაფარიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ცნობილ ჟურნალიტს ოთარ ხუციშვილს ვაჟიშვილის

კობას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს პურპროდუქტების მინისტრის ყოფილ მოადგილეს იური ოსიპოვს დის

ელენე ოსიპოვა-გუდიაშვილის

გარდაცვალების გამო.
კავშირის სახელით მალხაზ დოლიძე, ომარ კუჭავა.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ტკივილ-გამაყუჩებელი... სამოადან



სამოაში **გავრცელებული მცენარე, რომელსაც ტრადიციულად იყენებენ სიცხისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილის ტკივილის სამკურნალოდ, შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტკივილგამაყუჩებლის, იბუპროფენის კონკურენტი გახდეს; ახალი კვლევის მიხედვით, ამის მიზეზი მისი ანთების საწინააღმდეგო თვისებებია.**

სამოის სამეცნიერო კვლევათა ორგანიზაციის მეცნიერის, სეესეი მოლიმო-სამასონის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევის მიხედვით, მწირად შესწავლილი, მაგრამ ხშირად გამოყენებადი ტრადიციული სამოური წამალი, სახელად „მატალაფი“ შეიძლება ისეთივე ძლიერი იყოს, როგორც იბუპროფენი, რომელიც ანთებას ამცირებს.

მატალაფი პატარა, შეუმჩნეველი ხეა და ისხამს პრიალა წითელ კენკრას. მისი ოფიციალური სახელია Paychotria insularum და იზრდება სამოის სანაპიროებზე და ნისლიან ტყეებში. ტრადიციული მკურნალები მის ფოთლებს ცხელებასთან, შეშუპებასთან და კანის ინფექციებთან დაკავშირებული ანთების შესასუსტებლად იყენებენ; ასევე სჯერათ, რომ კურნავს ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირებულ სნეულებებსაც.

„ამ მცენარის შესახებ მრავალი ცრურწმენაა გავრცელებული ტრადიციულ მედიცინაშიც კი. მსურდა, გამერკვია, აქვს თუ არა სამოელი ხალხის ტრადიციულ მედიცინას რაიმე სამეცნიერო ღირსება“, — ამბობს მოლიმო-სამასონი.

ბუნება ძლიერი სამკურნალო თვისებების მქონე მცენარეების ნამდვილი საგანძურია. ასეთ მცენარეებს ადგილობრივი ხალხები ათასწლეულებია იყენებენ, გაცილებით უფრო ძველი დროიდან, ვიდრე მედიცინა ჩაისახებოდა.

გასული ორმოცი წლის განმავლობაში, მსოფლიოში დაახლოებით 1560 ახალი წამალი დამტკიცდა; მათი 64 პროცენტი მცენარეებსა და ბუნებრივ პროდუქტებში არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა საფუძველზეა შექმნილი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია ასპირინი, მალარიის წამალი არტემიზინინი, დიაბეტის წამალი მეტფორმინი და ა. შ. ადგილობრივ ხალხთა ტრადიციული ცოდნის შეცნობა, დაფასება და დაცვა ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. ამ მიმართულებით, სამოას, წყნარი ოკეანის ერთ პატარა არქიპელაგზე გადაჭიმულ ქვეყანას დიდი ისტორია აქვს.

1989 წელს სამოაში მნიშვნელოვანი შეთანხმება გაფორმდა ერთი მხრივ ტრადიციულ მკურნალებს, მეორე მხრივ კი იმ მეცნიერებს შორის, რომლებმაც მამალას ხის (Homalanthus nutans) ქერქში აღმოაჩინეს აივ ინფექციის საწინააღმდეგო პოტენციური რეტროვირუსული აგენტი პროსტრატინი. ამ შეთანხმებამ საფუძველი დაუდო წვდომისა და სარგებლის გაზიარების შესახებ სხვა ხელშეკრულებებს, რომლებიც ამჟამად საერთაშორისო სამართლით არის გარანტირებული და ემსახურება ბიობრაკონიერობასთან ბრძოლას.

ახალ კვლევაში, მოლიმო-სამასონიმ ადგილობრივთა ტრადიციული ცოდნა ქიმიურ და გენეტიკურ ანალიზებს შეურწყა, რათა შეესწავლა, როგორ მოქმედებს მატალაფი ანთების საწინააღმდეგოდ. სამოაში, ტრადიციული მკურნალები მატალაფის ფოთლებს ჭრიან და სრესენ, შემდეგ კი წვენს ან დაჭყლეტილ ფოთლებს ადამიანს კანზე ადებენ და ჭრილობებს ან ინფექციებს მკურნალობენ. მოლიმო-სამასონი ადგილობრივ მკურნალებთან ერთად აგროვებდა მატალაფის ფოთლებს, შემდეგ მათ ბლენდერში ატარებდნენ და მიღებულ წვენს ტესტირებისთვის ახალ ზელანდიაში გზავნიდნენ.

დადგინდა, რომ ადამიანებთან საერთო ზოგიერთი გენის მქონე საფუარის კულტურების გამოყენებით, მატალაფი უჯრედებში არსებულ რკინასთან ურთიერთმოქმედებს. ამის შემდეგ, მოლიმო-სამასონიმ მატალაფი და მისი ანთების საწინააღმდეგო თვისებები ლაბორატორიაში გაზრდილ იმუნურ ქსოვილზე შეადარა იბუპროფენს.

„ეს გახლდათ გეგმა, რომელსაც ძლიერ სკეპტიკურად ვუყურებდი. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ის უძლიერესი ექსტრაქტია“, — ამბობს მკვლევარი. თუ მატალაფის ანთების საწინააღმდეგო თვისებები საბოლოოდ დადასტურდა და გაირკვა, როგორ მოქმედებს ის რკინაზე, მკვლევრებმა მას ტრადიციული მედიცინის მიღმა შეიძლება ახალი გამოყენების გზებიც მოუძებნონ. გარდა ამისა, მათ ასევე აინტერესებთ მატალაფის პოტენციური ეფექტი კიბოსა და სხვა ანთებითი დაავადებების წინააღმდეგ.

მკვლევრები გეგმავენ იმასაც, რომ შეისწავლონ, როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს სიძლიერით ველური და კულტივირებული მატალაფი. ამასობაში კი აგრძელებენ სამოასა და ახლომდებარე კუნძულებზე გავრცელებულ სამკურნალო მცენარეთა კვლევას.

კვლევა ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნდა.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

აჭარაში ციტრუსის რთველისთვის ემზადებიან

ამოძმედდა **გასაღების საკოორდინაციო შტაბი, რომელიც ფერმერებს ციტრუსის ლოჯისტიკასა და რეალიზაციაში დაეხმარება. შტაბი ასევე უზრუნველყოფს ციტრუსის სუბსიდირებას. შტაბის გახსნას ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერები, სავაჭრო-სამრეწველო პალატის, სურსათის ეროვნული სააგენტოს, ციტრუსის მიმღებ გადამამუშავებელი საწარმოების წარმომადგენლები, ექსპორტიორები და მეციტრუსე ფერმერები ესწრებოდნენ.**

შტაბი მუშაობას პირველ თებერვლამდე გააგრძელებს. ამოქმედდება ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნება.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, წელს საექსპორტო მანდარინს 30-მდე ციტრუსის საწარმო მიიღებს, ხოლო არასტანდარტული მანდარინის მიღება-გადამუშავებას შპს „Georgian industrial Asset Management Group“ განახორციელებს.

ქართული ღვინო „ENOEXPO 2021“-ზე

პოლონეთის **ქალაქ კრაკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „EnoExpo 2021“ წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანიის ის ღვინოები, რომლებიც, დღეისათვის, პოლონეთის ბაზარზე არ იყიდება. გამოფენის ფარგლებში, მცირე მარნების მიერ წარმოებული ქვევრის ღვინოების დეგუსტაციაც გაიმართა, რომელსაც ღვინის პროფესიონალები, სომელიეები, ღვინით ვაჭრობის სფეროს და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. დეგუსტაციას გამომცემლობის „Vinisfera“ ხელმძღვანელი მარიუშ კაპჩინსკი უძღვებოდა.**

პოლონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წლის განმავლობაში, არაერთი ღონისძიება იმართება, რომელთა მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მასზე მოთხოვნის კიდევ უფრო მეტად გაზრდის ხელშწყობაა. ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში პოლონეთმა სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით, საქართველოდან პოლონეთში ექსპორტირებულია 5 მლნ-მდე ბოთლი ღვინო, ზრდამ, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 20% შეადგინა.

მინისტრის პირობა – დოლოჭოპის ტაძარი გადარჩება!

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სამუშაო ვიზიტით კახეთს ესტუმრა და დაათვალიერა ყვარლის რაიონში მდებარე დოლოჭოპის ტაძარი, რომელიც IV-V საუკუნეებით თარიღდება.

დოლოჭოპზე ვიზიტი არქიტექტორ, არქეოლოგ ნოდარ ბახტაძის ინიციატივით შედგა და ვიზიტის დროს მინისტრთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში ირაკლი შიოშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, არქეოლოგი ვახტანგ ჯაფარიძე, არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე და სამინისტროს წარმომადგენლები. მინისტრი თანმხლებ პირებთან ერთად ადგილზე გაეცნო დოლოჭოპის ტაძრის მდგომარეობას. გაირკვა, რომ 2018 წელს კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესში მდინარე დურუჯისთვის კალაპოტის შეცვლის შედეგად, ტაძრის ტერიტორია მდინარის წყლით პერიოდულად იტბორება, რაც მას საფრთხეს უქმნის და აზიანებს.

აქედან გამომდინარე, კულტურის მინისტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ჯერ სათანადოდ შეფასდეს ტაძრის მდგომარეობა, მისი დაზიანების გამომწვევი მიზეზები (საიდან მოედინება წყალი, რომლითაც იტბორება ტაძარი) და ამის შესაბამისად შემუშავდეს ტაძრის გადარჩენის სამოქმედო გეგმა. თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტრო გეგმავს ჯერ ტაძრის გადარჩენას, ხოლო შემდეგ შესაბამისი კვლევების ჩატარებასა და კონსერვაციას, რათა ის გახდეს მიზიდულობის კერა როგორც ქართველი ახალგაზრდებისთვის, ასევე უცხოელი ტურისტებისთვისაც.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

აშშ-ის ქალაქ დალასში ორი დღის განმავლობაში ასობით კონსპიროლოგი გარდაცვლილი ჯონ კენედისა და მისი შვილის გამოჩენას ელოდებოდა, რომლის შესახებაც მოძრაობა Qanon-ის წინასწარმეტყველებაშია ნათქვამი.

წინასწარმეტყველება საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ ყველა კონსპიროლოგი რაღაც განსხვავებულს ელოდებოდა. ერთი ნაწილი ეზმადებოდა ჯონ კენედი-უმცროსის დაბრუნებისთვის, რომელიც 1999 წელს ავიაკატასტროფას ემსხვერპლა. Qanon-ის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ავიაკატასტროფაში ჯონ კენედი-უმცროსის გარდაცვალება ინსცენირებული იყო ჰილარი კლინტონის მოტყუების მიზნით, ახლა კი აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის შვილი დონალდ ტრამპთან ერთად ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადება და ვიცე-პრეზიდენტი იქნება. Qanon-ის მომხრეების ნაწილი უმცროს კენედისთან ერთად მისი მამის, ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებასაც ელოდებოდა, რომელიც ასევე სასწაულებრივად გადარჩა და ამ დრომდე არსად გამოჩენილა. მათივე გათვლებით, 1963 წელს მოკლულ ჯონ კენედის ასევე დონალდ ტრამპისთვის უნდა დაეჭირა მხარი.

ფოიერვერკებმა ჰაერი მოწამლა

ინდოეთის დედაქალაქში, დელიში, სინათლის ფესტივალის (დივალი) ფოიერვერკებით აღნიშვნის შემდეგ ჰაერის ხარისხი საგანგაშოდ გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ შუშხუნების გაშვება კანონით აკრძალეს, მთელი ქალაქის მასშტაბით, მოსახლეობამ ფესტივალი მაინც ამ ფორმით აღნიშნა.

სატრანსპორტო, სამრეწველო გამონაბოლქვი და მტვერი დელის მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებულ დედაქალაქად აქცევს. ამ ყველაფერზე ფოიერვერკების დამატების შემდეგ, 1 კუბურ მეტრზე მყარი ნაწილაკების, PM2.5-ის კონცენტრაციამ 999 შეადგინა. ფესტივალის მეორე დღეს ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქავილსა და თვალების ცრემლიანობას უჩივის.

წიგნის მსოფლიო დედაქალაქების ერთიანი ქსელი

3-13 ნოემბერს, შარჟაში მიმდინარე საერთაშორისო წიგნის ბაზრობის ფარგლებში, იუნესკოს მიერ ორგანიზებული შეხვედრა იმართება, რომელსაც წინა წლების წიგნის მსოფლიო დედაქალაქების პროექტების ხელმძღვანელებთან ერთად, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი ნინია მაჭარაშვილი და დირექტორის მოადგილე, ნინო კიკნაძე ესწრებოდნენ.

მან „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მრჩეველთა კომიტეტის წევრებს (UNESCO, IAF, IFLA, IPA), მრჩეველთა საბჭოს მიერ არჩეულ საერთაშორისო ექსპერტებსა და სხვა წიგნის მსოფლიო დედაქალაქების წარმომადგენლებს გააცნო **„თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“** ფარგლებში მიმდინარე პროცესები, პროექტის განხორციელებისას გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებსა და განვლილი ექვსი თვის განმავლობაში დაგროვებულ გამოცდილებაზე. აღნიშნული შეხვედრის მთავარი თემა იყო წიგნის მსოფლიო დედაქალაქების სამუშაო ქსელის შექმნა, რომელიც იუნესკოს „წიგნი მსოფლიო დედაქალაქის“ პროექტის მთავარმა კურატორმა, იან დენოსონმა, რამდენიმე კვირის წინ, მადრიდის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე დააანონსა. ქსელი ამ სტატუსის მიღების მსურველ ქალაქებს არა მხოლოდ წარსადგენი აპლიკაციის მომზადებაში დაეხმარება, არამედ თავად პროექტის განხორციელებისასაც გაუწევს ყველა საჭირო კონსულტაციას.

იუნესკოს მიერ „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ პროექტის დაარსებიდან, დღემდე, ამ სტატუსს სხვადასხვა კონტინენტისა და ქვეყნის 23 ქალაქი ატარებდა. თუმცა, ამ დროის განმავლობაში, მსგავსი ტიპის ძირეული რეფორმა არ განხორციელებულა. ცვლილებას, რომელმაც, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის მოპოვებისა და პროგრამის განხორციელების პროცესი უნდა შეამსუბუქოს და უფრო შინაარსზე ორიენტირებული გახადოს, თავად სტატუსის მოპოვების მსურველი ქალაქები ითხოვდნენ. აღნიშნული ინიციატივა იმ მხრივაც გამორჩეულია, რომ, ქსელი, ამ ქალაქებს, პროცესში გრძელვადიანი ჩართულობის საშუალებას მისცემს, რაც პროექტის მთავარ გზავნილს – წიგნისა და წიგნიერების განვითარების პროცესს უფრო გაამყარებს.

ღონისძიებას მასპინძლობდა უდიდესი საბიბლიოთეკო-საგანმანათლებლო კომპლექსი House of Wisdom, რომელიც შარჟაში, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფარგლებში, 2019 წელს გაიხსნა. იუნესკოს „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ პროექტის მასპინძელ ყველა ქალაქს მომავალი წლის აპრილში, თბილისი უმასპინძლებს.

ცნობილი მომღერალი ავიაკატასტროფაში დაიღუპა

მარილია მენდონსა – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრაზილიელი მომღერალი ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა. მასთან ერთად, დაიღუპნენ მისი ბიძა, პროდიუსერი და ეკიპაჟის ორი წევრი.

ორი შვილის დედა, 26 წლის მომღერალი კარატინგაში, კონცერტის გასამართად მიფრინავდა. შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე, მან სოციალურ ქსელში ვიდეო გამოაქვეყნა, რომელშიც ჩანს, როგორ ემზადებოდა კერძო თვითმფრინავში ასასვლელად. ავიაკატასტროფის მიზეზი ჯერ უცნობია.

ერთგულებაც ამას ჰქვია

92 წლის ომერ გიუვენმა ქუჩაში მცხოვრები ძაღლი 11 წლის წინ შეიფარა და მას „ფერო“ დაარქვა. კაცი ერთი კვირის წინ დაკრძალეს და „ფერო“ მისი საფლავის ყველაზე ხშირ სტუმრად იქცა.

ძაღლი პატრონს დაკრძალვამდეც არ მოშორებია და მიცვალებულის თავთან ეჯდა. როგორც მეზობლები ამბობენ, საფლავზე მისული ძაღლისთვის არაერთხელ შეუნიშნავთ სველი თვალები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1637; ევრო - 3.6490;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2488;
100 რუბლი - 4.4178; თურქული ლირა - 0.3258;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8630;
1000 სომხური დრამი - 6.6562.

ამინდი 8 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+20
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge